645
1960 3



# საბჭოთა ქალი

№ 12 დეკემბერი 1960 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



„შეხვედრა ახალ სიმაღლეზე“

ფოტოეტიუდი თ. ჯრჩვაძის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 15 წელი



ე. ა. ფურცევა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცკ-ის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი. (დაბადების 50 წლისთავი)

15 წლის წინათ პარიზში ჩატარდა ქალთა პირველი საერთაშორისო კონგრესი. ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა ქალთა მოძრაობის ისტორიაში.

კონგრესზე შეიკრიბა სხვადასხვა რასის, ეროვნებისა და რელიგიური რწმენის, სხვადასხვა კლასისა და პოლიტიკური მიმართულების მოწინავე ქალები, გამსჭვალულნი ერთი საერთო კეთილშობილური მიზნით—შეეკავშირებინათ და დაერაზმათ მთელი თავიანთი ძალები ფაშიზმის ნაშთების სრული ლიკვიდაციისათვის, ხალხთა შორის მშვიდობის დამყარების, ბავშვთა ბედნიერი მომავლის და ოჯახების მყუდრო ცხოვრების უზრუნველსაყოფად.

კონგრესი შეიკრიბა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან ექვსი თვის შემდეგ, როცა ქალთა საერთაშორისო მოძრაობამ განსაკუთრებული გაქანება ჰპოვა. მას ესწრებოდა 850 დელეგატი და სტუმარი 40 ქვეყნიდან. კონგრესი უდიდესი აქტივობისა და ერთსულოვნების ვითარებაში ჩატარდა.

კონგრესმა შექმნა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია, დაამტკიცა წესდება და განსაზღვრა შემდგომი მოქმედების ამოცანები.

15 წლის მანძილზე ფედერაცია გაიზარდა და გაძლიერდა, იგი გადაიქცა მსოფლიოს ქალთა უდიდეს მაორგანიზებელ ძალად, რომლის დროშის ქვეშ დღეს 100 ქვეყნის 200 მილიონზე მეტი ქალია დარაზმული.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ინიციატივით 1948 წელს ბუდაპეშტში მოწვეულ იქნა მეორე საერთაშორისო კონგრესი, რომელმაც განიხილა საკითხი „ქალთა საერთაშორისო მოძრაობის ამოცანები მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის საქმეში", შეიმუშავა მოქმედების ერთიანი გეგმა და მიიღო მშვიდობის დაცვის მანიფესტი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა რეაქციისა და ომის წინააღმდეგ ქალთა ბრძოლის აქტივიზაციის საქმეში.

1953 წლის ივნისში კოპენჰაგენში ჩატარებულ მესამე კონგრესზე მიღებულ იქნა ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი-დეკლარაცია ქალთა უფლებების შესახებ. დეკლარაციაში წამოყენებულ კონკრეტულ მოთხოვნილებათა შესრულებისათვის ბრძოლამ ფართო ხასიათი მიიღო და სერიოზული შედეგიც გამოიღო.

ფედერაცია შექმნის დღიდან თანმიმდევრულად იბრძოდა და იბრძვის ბავშვთა უფლებების დაცვის, მათი ბედნიერი მომავლისათვის. 1949 წლიდან 1 ივნისი დადგენილია ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღედ და აღინიშნება იგი მსოფლიოს ყველა კუთხეში. ახალი და მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ბავშვთა ინტერესების დაცვისა და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საკითხებზე 1952 წელს ვენაში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენცია და 1955 წელს დედათა საერთაშორისო კონგრესი ლოზანაში, რომლის მსგავსი რამ ისტორიამ არ იცის. ათასზე მეტი დელეგატი მოვიდა აქ 66 ქვეყნიდან. კონგრესმა მიიღო მანიფესტი, რომელმაც ხელი შეუწყო დედათა მუდმივი საერთაშორისო კომიტეტის შექმნას.

დიდი შრომა გასწია ფედერაციამ ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის 50 წლისთავის საიუბილეო თარიღის მომზადება-ჩატარებისა და 1960 წლის 21-24 აპრილს კოპენჰაგენში ამ დღისადმი მიძღვნილ ქალთა შეხვედრების მოწყობისათვის.

ფედერაციის მოღვაწეობის წარმატების უდიდესი ფაქტორია საბჭოთა ქვეყნის ქალების შრომისა და ცხოვრების ბრწყინვალე მაგალითი, ჩინეთისა და სხვა დემოკრატიის ქვეყნების ქალთა ბრძოლის გამოცდილება.

15 წლის მანძილზე ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ მშვიდობის, ქალთა უფლებებისა და ბავშვთა ინტერესების დაცვისათვის ბრძოლის მეტად დიდი და ძნელი გზა განვლო, რითაც მთელი მსოფლიოს ქალთა ფართო მასების სიყვარული, ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა, ხოლო მის ხელმძღვანელებს დიდი პოპულარობა მოუპოვა.

ახლანდელ საერთაშორისო ვითარებაში, როცა მსოფლიოს პროგრესული ადამიანები ერთსულოვნად იწონებენ და მხარს უჭერენ ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადებებს, წამოყენებულს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეის XV სესიაზე საყოველთაო განიარაღებისა და ხალხთა შორის მშვიდობის დამყარების საკითხებზე, ფედერაციის წინაშე კიდევ უფრო აქტუალურად ისმის ყველა ქვეყანაში ქალთა თანასწორუფლებიანობის მოპოვების საკითხი, რათა მამაკაცებთან ხელიხელჩაკიდებული იბრძოლონ მათ იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომელიც ასე აღელვებს დღეს კაცობრიობას.

ეჭვი არ არის, რომ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია კვლავაც იქნება მშვიდობის, ქალთა თანასწორუფლებიანობის, ბავშვთა ბედნიერი მომავლისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში და წარმატებით შეასრულებს მის წინაშე მდგომ ამოცანებს.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი
№ 12 დეკემბერი 1960 წელი
საბჭოთა ქალი
გამოცემის მეოთხეწელი

საჯარო ბიბლიოთეკა



# უნაკლო გოგონა

ს. მეტრეველი

მხატვარი დ. ერისთავი

## ნოველა

ქუთაისიდან სამტრედიამდე არაა დიდი გზა.

ავტობუსი ერთ საათში ჩაგიყვანს.

მხოლოდ, როცა მანქანაში უზომო მგზავრია და ფეხზე დგახარ, წუთი საათად გეჩვენება. ამას ემატება ისიც, რომ ზოგი ბეჭით გაწვება, ვიღაც ფეხზე დაგაბიჯებს, გვერდს გაგკრავს, კალათს ან ჭუჭყიან ტომარას უბოდიშოდ მხარზე დაგადებს...

მაგრამ, მგზავრობაში რა არ მოხდება, ისიც კვირა დღეს!..

ფეხზე დგომას არაფრად ვაგდებ.

სახით ფანჯრისაკენ ვდგავარ, ორი სკამის საზურგე ორივე ხელით მიჭირავს.

ჩემს წინ ხან აკაციათა რიგია, ხან—შოლტივით ღობე, ხან—სახლები. ხანგამოშვებით ახლადშეფოთლილი ხეხილის ბაღებიც გაიელვებენ. ყველაფერი ეს უკან, ქუთაისისაკენ მიქრის.

მე კი წინ მიმაფრენს ავტობუსი...

სარკმელთან გოგონა ზის და ვიღაც ზურაბს უხსენებს ქაღარაშერეულ ქალს. ეს ქალი დედა უნდა იყოს, ამ გოგონას დედა...

რა თქმა უნდა, დედაა, სანდომიანი ქალი, რომელიც წამით აქეთ მოიბრუნებს სახეს და ისევ ქალიშვილს შეჰყურებს...

— ზურაბი, ზურაბი, ზურაბი...

დედას ეღიმება.

ვინ არის ის ზურაბი—მე არ ვიცი.

ვიცი, რომ ზურაბი მე ვარ.

გოგონამ არ იცის, მეც რომ ზურაბი ვარ...

საამოდ ტიტინებს:

— გუშინ ზურაბმა დაზგაში თითი გაიჭეჭყა. თითი გასკდა და მე შევუხვიე. იცი, მაინც იცინოდა: ცხრა თითი კიდევ დამრჩაო...

დედას ეღიმება.

მე ჩემს თითებზე ვიხედები: ათია...

ავტობუსი მიქრის...

ქალიშვილი დედას თვალებში შესციცინებს და, ვხედავ, ნახევარ თვალით მეც მიყურებს. დროდადრო ხარბად ვაკვირდები გოგონას და მინდა...

რა მინდა?

არ ვიცი, რა მინდა...

ჰო, ნაკლი მინდა ვუპოვო.

არ ვიცი, რატომ გამიჩნდა ეს სურვილი. ალბათ, ისე, უბრალოდ, რადგან ადამიანები, საერთოდ, ღირსეულში ნაკლს ვეძებთ, მდარეში კიღირსებას.

და მეც თავიდან ვიწყებ: თმა, შუბლი, წარბ-წამწამი, თვალები, ტუჩები, ყელი, ასე გასინჯეთ, ყურებიც და, მეტიც, ცხვირის ნესტოებიც მიმზიდველი აქვს...

ახალი სურვილი: რა ჰქვია?..

ავტობუსი მიქრის.

ფეხზე ვდგავარ და მინდა მალე ჩავიდე სამტრედ...

არა...

უკვე არ მინდა მალე ჩასვლა.

ფეხზე ვდგავარ და მინდა გზა გაგრძელდეს.

ფეხზე ვდგავარ და...

დაჯდომა არ მინდა. ვინმემ რომ ადგილი დამითმოს-მეწყინება.

შესანიშნავად ვმგზავრობ: კვლავ ხეივნები, ჯეჯილი, სახლები, დედაშვილი და კვლავ: თმა, შუბლი, წარბები, თვალები...

ტუჩები?.. გოგონა კბილებით აწვალებს ქვედა ტუჩს. ტუჩი, კბილებიდან თავს რომ დაიძვრენს, მოთეთროა, მერე უცებ გავარდისფერდება და ბრწყინავს...

ლელა... რა კარგი სახელია!

მაგრამ... რა ჰქვია? ლელა?

საიდან მომესმა ეს სახელი? ჩემი საყვარელი სახელი.

ჰო, ლელა, აბა, სხვა რა უნდა ერქვას?..

ესე იგი, ლელა...

ავტობუსი მიქრის.

უკანა სკამზე ვიღაც კარგ ხასიათზეა: „სამტრედია, სამტრედია მუდამ მზიანო"...

წინა სკამზე ვიღაც ოხუნჯობს და მისი ბოლო სიტყვები ხარხარში იძირება. ჩადგება სიცილის ქარი, გაივლის წამები და ისევ ამოვარდება

ავტობუსი მიქრის...

ლელა ჩანთაში რაღაცას ეძებს..

იპოვა...

დედას გაუწოდა...

— ამ ქალიშვილს ვერ ვცნობ.

— ის ჩემი ამხანაგის ამხანაგია.

— ეს ბიჭი?

— ეს ხომ...

— ზურაბი?

ლელა ეშმაკურად იღიმება.

მოგწონს?..

დედა სდუმს და თვალებში სიყვარული ეხატება.

სურათს თვალი მივუახლოვე: ვაჟს გრძელი სახე აქვს, სქელი წარბები. გულიანად იცინის და ბაგეების გასწვრივ ნაოჭის რამდენიმე ზოლი დაუყვება.

არ მომეწონა... ლელა სჯობია.

ლელაც არის სურათში, ლელაც იცინის...

— ერთი რამე ვერ გამიგია....

— რა დედა?..

— ასეთ სურათში კარგი გამოდიხარ და, აი, გაზეთში კი შენი ცნობა მიჭირს.

— ჰო...

— ქვეშ რომ გვარი და სახელი არ ჰქონდეს მიწერილი, შენ ნუ მომიკვდე, ვერც გიცნობდი.

— ეგ მეც არ ვიცი, რატომ ხდება, ცოტა კი იცვლება სახე...

— მოქალაქე, თუ შეიძლება გაგვიშვით...

— მიბრძანდით, ბატონო.—ვეპატიჟები ყველას: მოხუცს, ახალგაზრდას, ქალს, კაცს.

— ახლა ჩახვალთ?

— არა, ბატონო, არ ჩავალ.—ვპასუხობ ხმამაღლა და ვფიქრობ: ,,არც ერთ ,,გაჩერებაზე‘‘ არ ჩავალ, ვინ მოიგონა ეს ,,გაჩერება‘‘. არ ჩავალ, ბატონო, არა! ვისაც ჩასვლა გსურთ, ჩადით. სკამზეც არ დავჯდები, გაიგეთ? ყველა სკამი რომ განთავისუფლდეს, არ მინდა დაჯდომა.

ორი საზურგე ორივე ხელით მიჭირავს.

ავტობუსი მიქრის...

— ამ სურათს ბებიას ვაჩვენებ, აბა, თუ მიცნობს.

— გიცნობს, როგორ ვერ გიცნობს...

იცნობს. ცხადია, იცნობს. ლელას ჯეელი ბებია უნდა ჰყავდეს, თვალს არ უნდა აკლდეს, არც ყურს. ალბათ, თეთრი თმა აქვს, ლამაზი მოხუცია. მხრებში სულ არ იქნება მოხრილი, რა თქმა უნდა, შვილიშვილი უყვარს, ლელა ვის არ შეუყვარდება. ალბათ, მოუთმენლად მიელის და როცა ჩავა, თავიდან ფეხებამდე დაკოცნის... მე ჯერ მუშტრის თვალით შემომხედავს, მერე მეც გულში ჩამიკრავს მისი ბებია და... ჩემს მანქანაში ჩავსვამ და ვასეირნებ ლელას და მის ბებიას... რა დროს დაზიანდა სიჩქარის კოლოფი... თუმცა, რომ არ გამფუჭებოდა, ავტობუსით არ ვიმგზავრებდი, ლელასაც ვერ ვნახავდი... ვეღარც ბებიასთან ჩავიდოდი სამტრედიაში... კარგია, რომ წამიხდა მანქანა და ავტობუსში ვზივარ. აქ ხალხია, ცოტა მჭიდროდ ვართ, მაგრამ არაფერია, მგზავრობაში რა არ ხდება! წინა რიგში ვიღაც ენაბასრობს, უკან ვიღაც ღიღინებს: ,,სამტრედია, სამტრედია, მუდამ მზიანო. .‘‘ და, რაც მთავარია, აქ ლელაა, დედამისი... ჩავალთ ლელას ბებიასთან... მანქანას შევაკეთებ.. ჰმ, სისულელეა, მე რა შუაში ვარ...

ავტობუსი მიქრის...

უცებ გოგონა რაღაცას მიაშტერდა, ყელი მოიღერა, ნახევრად შეტრიალდა და ცდილობს თვალით დაეწიოს უკან გაფრენილ საგანს...

მე წინ ვიყურები, ალბათ, სამტრედიაში.

,,სამტრედია, სამტრედია, მუდამ მზიანო...‘‘—ვღიღინებ გულში.

ავტობუსი მიქრის.

თავიდან ვიწყებ: თმა, შუბლი, წარბები, თვალები... არა, ასე არა. უფრო დაწვრილებით: თმა წაბლისფერი, მოკლედშეკრეჭილი, ზევით ავარცხნილი, ხანგამოშვებით პაწია თითებს საფეთქლებიდან ააყოლებს და თმას კეფაზე შეათაიგულებს. ისევ ჩამოეშლება თმა და... ეს ძალზე მიმზიდველია. მინდა მივეშველო თმის შესწორებაში, მაგრამ...

ავტობუსი მიქრის...

წარბები? წარბები—ორი შავი ოდიშურა.

თვალები? თვალებზე ქართველი პოეტი მომაგონდა:

,,ვნახე თვალები, როგორც ისარნი,
ვითა მახვილი განგებისანი,
რა მწველებია, რა მალებია,
რა თვალებია, რა თვალებია?...‘‘

,,რა თვალებია,‘‘—ვიმეორებ გულში და ვნატრობ: ერთხელ კიდევ შემომხედოს და აღარ ვინაღვლებ, ავტობუსი თუ სამტრედიაში შევა.

,,სამტრედია, სამტრედია, მუდამ მზიანო‘‘..—ხმამაღლა სიმღერა მსურს. დაილოცოს დღევანდელი დღე და ვინც ავტობუსით მგზავრობა მოიგონა, დაილოცოს სამტრედია.

— შეეევდივართ!— გაიჭიმა კონდუქტორი. რკინიგზა გადავჭერით, მიუხვ-მოვუხვიეთ და...

სამტრედიაში ვართ.

,,რა მალე ჩამოვედით? ვფიქრობ ჩემთვის.

— ჩავიდეთ, ციალა...

ა?! ციალა რა შუაშია?.. ლელა... ლელა... ციალა რატომ?.. მე... მე არ მსურს, მე ლელა მირჩევნია, ციალა რა შუაშია... თუმცა, მე რა შუაში ვარ, მე ვინ მკითხავს... ისე კი, ციალასაც არა უშავს... რატომ, ციალაც კარგია... რა თქმა უნდა, კარგი სახელია... ციალა ზედგამოჭრილია, შესანიშნავი სახელია... ციალა.,. ციალა...

— ჩავედით, შვილო?—მკითხა ჩემს წინ საზურგეზე დაყრდნობილმა მოხუცმა ქალმა.

— კი, ბებია, სამტრედიაა,—ვუპასუხე ხმამაღლა.

— მადლობა ღმერთს, ჩამოვწყდი ფეხზე!—თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა მოხუცმა და ამღვრეული თვალი დედა - შვილს მოავლო.

ელდა მეცა.

მე ახლა დავაკვირდი მოხუცის დანაოჭებულ და დაღლილ სახეს, შეჭმუხვნილ შუბლს, ის მთელ გზაზე ჩემს გვერდით იდგა საზურგეზე დაყრდნობილი.

ცივი ოფლი დამასხა.

ავწრიალდი... ხელები სად წავიღო არ ვიცი.

მინდა მოხუცის კალათი ავიტაცო და ძირს ჩავიტანო, მაგრამ ვერ ვბედავ. კალათი თვითონ მიაქვს და რაღაცას ბუტბუტებს, დასჯილივით უკან მივყვები მანდილოსანს.

მისი სიტყვები არ მესმის, მაგრამ მეჩვენება თითქოს ერთსა და იმავეს იმეორებს: ,,მადლობა ღმერთს, ჩამოვწყდი ფეხზე...‘‘

დედა - შვილი?

მოვტრიალდი და...

თმა... შუბლი, თვალები, წარბები, წამწამები... ერთი სიტყვით, ყველაფერი უნაკლო აქვს, მაგრამ...

რა იქნებოდა მისგან გამეგონა ორად ორი სიტყვა:

,,ბებია, დაბრძანდით!..‘‘



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დეიდა ანა

ბევრჯერ ჩაცდენია ფეხი ანა გურგენიძეს ვიწროსა და მიხვეულ-მოხვეულ შავ გვირაბში. ფეხი თუ დაუცდა, არ უნდა დაიბნეს—დაჯდეს გვირაბის პირზე და ერთ ამოსუნთქვასაც ვერ მოასწრებს, რომ ბიგებით საგულდაგულოდ გამაგრებულ მოზრდილ ლავაში ამოჰყოფს თავს. მე შენ გეტყვი, ბრეზენტის შარვალში გაატანს სინესტე ან წაბლისფერი თმა ჩამოეშლება საგულდაგულოდ შემოსხეპილი ქუდიდან. შემდეგ შუბლზე მარტორქასავით წამოზრდილი ცალი თვალის მოკიაფე შუქს ოფლსა და ნახშირის მურში შავად მოსვრილ ტალიკ ბიჭებს რომ მიანათებს, მისდაუნებურად ათრთოლებული ხმით იკითხავს:

— ჩემი ბიჭი არ ჩამოსულა აქ?!

«ჩემი ბიჭი არ ჩამოსულა აქ?!», «ჩემი ბიჭი არ ჩამოსულა?!»... «ჩემი ბიჭი», — გუგუნით გაიმეორებენ კლდეში ღრმად შეჭრილი ლავები. დამხვდურები ხმით სცნობენ ანა გურგენიძეს.

— შენს ბიჭს აქ რა უნდა, დეიდა ანა, ნახშირით შელამაზებას, მზით გარუჯვა ურჩევნია...

იცის ანამ, კარგად იცის, რომ მისი შვილი ზევით, შახტის საკარიერო მეურნეობაში მუშაობს, სავსებო მასალას ამზადებს, რომელიც სპეციალური მილებით შემოდის შახტში. იცის ანამ, მაგრამ... შახტის გზებიც კარგად იცის ბიჭმა, უფრო შორი და უფრო საშიში... იქედან შემოეპარება ხოლმე წყალსაქცევის უბანში მესაზღვრესავით ფხიზლად მოდარაჯე დედას. ვერც გაჰკიცხავს, ვერც უსაყვედურებს ანიკო შვილს. რა ჰქნას, «ნამდვილ სავაჟკაცო საქმეზე» მისდის სული ყმაწვილს, ელექტრობუროღზე ხელის ერთი შევლება სიცოცხლეს ურჩევნია. გაჰკიცხავს კი არა, თვითონაც იმას ფიქრობს, მალე შემცვლისო.

ანიკოს შვილი ლენინის სახელობის შახტის საშუალო სკოლაში დადის დღისით, ნაშუადღევს სამუშაოზე მიეჩქარება... მაინც პოულობს დროს «მიწაში ჩასაძრომად»...

25 წლის არც კი იყო ანა გურგენიძე, ტყიბულში რომ მოვიდა საცხოვრებლად. ჩვილი ბავშვი და მეუღლეზე შეუშრალი ცრემლები მოიყოლა ქვრივმა თან. მეშახტეთა საერთო საცხოვრებლის დამლაგებლად მოეწყო პირველად — უვლიდა სხვების ბინებს და საკუთარ შვილს. მალე მტვირთავად მოეწყო შახტში. ორი წელი იღებდა და ისტუმრებდა მბზინავი ნახშირით დატვირთულ პატარ პატარა ვაგონეტებს სატვირთო პუნქტთან. აქ რომ იმარჯვა, ქვესადგურის მორიგედ გადაიყვანეს, ქალი იყო და ცდილობდნენ სამისო საქმე გამოენახათ. შრომობდა ბეჯითად, მუყაითად, დააჯილდოვეს მედლით «შრომითი მამაცობისათვის», ქების სიგელით, წარჩინებული მეშახტის ნიშნით...

შვიდი წელია წყალსაქცევის უბანში მუშაობს მემოტორედ. ზოგჯერ მზეს ასწრებს ადგომას, ზოგჯერ შუბისტარზე გადახრილი სხივები ჩააცილებენ შახტში, ბევრჯერ ბნელში უხდება შახტის შესასვლელამდე გზის გაგნება. მიწის გულში კი სულ ღამეა და ღამე. ღამის კუნაპეტს დღის სინათლეზე უკეთ შეაჩვია თვალი. ქვევით ფართოდ გაჭრილი შტრეკებით დაქსელილი მაღაროს არტერიებში კუნთმაგარი ვაჟკაცები ერთმანეთზე მიჯრით აწვენენ ქანებს, ჩამონაშალზე ბიგებს ამაგრებენ უმალ, საგულდაგულოდ გაჭედავენ ყოველ ახალ ნამატს. მაინც მოჟონავს «შავი სისხლი», მაინც გროვდება წვეთწვეთობით, ავსებს ვიწრო გასასვლელებს, მატულობს, ტბორდება და სასწრაფოდ თუ არ ამოტუმბე, საფრთხეს შეუქმნის ბიჭებს. აქ ღონე არაა აუცილებელი, არც ვაჟკაცობა. გამოზომილად უნდა იმოქმედო მხოლოდ, დინჯად და დაკვირვებით. მხუთავი გაზი, წყალი და მცირედი უპასუხისმგებლობა საშიშია აფეთქებისათვის. ანა გურგენიძე 15 წელია უავარიოდ მუშაობს შახტში, საკუთარი ოჯახივით იცნობს მის ყოველ კუნჭულს და თავისი თანამოსაქმეების —მ. მიქიაშვილის, მ. დიაკოვას, მ. ლაგუტოვასა და სხვების მიმართაც არ იშურებს კეთილ რჩევა-დარიგებას. ზოგჯერ სხვა უბნებსაც გადასწვდება — ხშირად ცვლის ქვესადგურის მორიგეს, უფრო ღრმადაც მიიწევს შტრეკებში, მამაკაცის საქმესაც არ ერიდება.

ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის პარტიული ბიუროს მდივანს ტ. გაბრიჩიძეს სიტყვები არ ჰყოფნის პარტიის ძველი წევრის, შრომის წარჩინებულის, ლენინის ორდენოსანი მეშახტის ანა გურგენიძის შესაქებად.

რა ვუყოთ, ძველმა მეშახტემ ალექსანდრე ჩაფიძემ სამი ვაჟკაცი თუ გამოუზარდა შახტს, რა ვუყოთ, თუ დღეს ბონდო, ლევან და გიორგი ჩაფიძეების შრომითს გმირობაზე ლაპარაკობენ. ანას ერთი შვილი ჰყავს და ისიც შახტისთვის გამოზარდა, თვითონ წავა და მისი მაგიერი დარჩება.

ქეთევან დეიხაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბარაქალა შენს მარჯვენას!



ლამაზია გუდაუთა. უფრო ლამაზია მთის კალთებზე შეფენილი, ზამთარ-ზაფხულ მწვანეში ჩაფლული სოფელი მუგუძირხვა. მარჯვნივ ზღვა ტორტმანებს, მარცხნივ შავწყალა მოიკლაკნება. სავსე მთვარე დაჰკაშკაშებს სოფელს.

ზიგზაგად მიმავალ ბილიკს ღიღინით მიყვება მაღალი, მხარბეჭიანი ვაჟკაცი. შეჩერდება, გადახედავს სოფელს და გული ვერ იტევს სიხარულს, რამდენი რამის გაკეთება შეუძლია ადამიანის მარჯვენას! წინათ ღამეც სხვანაირი იყო. საცოდავად გამოიყურებოდნენ ისლით გადახურული, ჩაბნელებული ქოხები...არც მთვარე იყო ასეთი ლამაზი...დღეს კი თეთრად ქათქათებენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლები. ტალახიანი ქუჩების ნაცვლად გაჭიმულია გზატკეცილები, ზღვასავით ღელავს თამბაქოს პლანტაციები...

პლანტაციიდან ხმა შემოესმა.

— ნუთუ კიდევ მუშაობს? მეორედ იყივლეს მამლებმა. შეუძლებელია!— გაიფიქრა და სმენა გაამახვილა. ახლა გარკვევით გაისმა სიმღერა.

— ეშმაკის ფეხი!—აღმოხდა და გასძახა:

— ვო ბარა, საშა!

არავინ გაეპასუხა. სიმღერაც შეწყდა. სირბილით დაეშვა პლანტაციისაკენ და მის წინ კისკისით აიმართა თამბაქოს ფართო ფოთლებით დატვირთული საშა აგრბა. ალექსანდრემ განგებ შეიკრა კოპები, შეუტია:

— ხომ გაგაფრთხილე, შენ მარტო ვერ მოერევი ამდენ თამბაქოს, ვინმეს მოგახმარ-მეთქი.

გული დაწყდა გოგონას.

— თუ მოვლა შემეძლო, აღებასაც შევძლებ, ამხანაგო თავმჯდომარე!— მტკიცედ უპასუხა. მერე თვალები ეშმაკურად აუციმციმდა:

— შენს ჯინაზე ყველაზე ადრე მე ავიღებ მოსავალს,—უთხრა და პლანტაციაში გაუჩინარდა.

ალექსანდრემ ღიმილი ვერ შეიკავა:

— რამხელა ენერგიაა ამ თითის სიგრძე გოგოში,—გაიფიქრა და თვალწინ დაუდგა ომის დღეები...ასე დაემუქრა მაშინაც, როცა 15 წლის გოგონამ აცრემლებული შემოაღო კოლმეურნეობის კანტორის კარები.

— ორივე ძმა ფრონტზე იბრძვის, დედა და მამა მძიმე ავადმყოფები არიან. ბიძა ხეიბარია, უფროს დას მარიცას აწევს ოჯახის სიმძიმე. მეც მინდა მივეხმარო, გეხვეწებით, მომიზომეთ, ნაკვეთი.

— გოგო, შენ რა უნდა გამიკეთო, მიწას არ აჩნიხარ,—შეუტია მაშინაც.

— ნახავ შენს ჯინაზე მოწინავე თუ არ გავხდები!—დაემუქრა და მუქარა კიდეც შეასრულა.

მიწის ნაკვეთი მიუზომეს, ყველაზე ადრე მოხნა, ხვნის დროს ფოსფორი შეიტანა, მერე დაფარცხა, დათესა. დათესილს დამწვარი წუნწუხი ზემოდან მოაყარა, აპრილში ჩითილების გადარგვა დაიწყო და ნაკელწყალი ჩაუსხა. სასუქი სამჯერ შეიტანა. ექვსჯერ გათოხნა და მოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა. წლითიწლობით მეტი გამოცდილება მიიღო... 1959 წელს 600 კილოგრამი თამბაქოს ნაცვლად 925 კილოგრამი ჩააბარა და შრომის დანამატის ანაზღაურების სახით 14609 მანეთი მიიღო. მიმდინარე წელს ვალდებულება აიღო 650 კილოგრამის ნაცვლად 1000 კილოგრამი თამბაქო ჩააბაროს სახელმწიფოს. თუ გაჭირდა, ღამესაც გაათენებს... ოღონდ სხვა დარდი არ აწუხებდეს და შრომაში არვის ჩამორჩება.

დღესაც ელოდება ფრონტელ ძმებს, არ უნდა დაიჯეროს, რომ ისინი აღარ დაბრუნდებიან. ჩამოვლენ და გაიხარებენ. დოვლათით სავსე ოჯახს დაახვედრებს. მერე დააქორწინებს. საცოლეებიც ჰყავს ამორჩეული. ჩუმად ეჩურჩულება ძმების სურათებს და ცრემლებით ასველებს. მარიცა ყველაზე ძალიან ეცოდება. იგი ოჯახის დედაც არის და მამაც. პირადი დაივიწყა, ოჯახს ანაცვალა ყველაფერი. საკუთარ თავზე ყველაზე ნაკლებად ფიქრობს...

კოლმეურნეობის კანტორის ეზოში თავი მოუყრიათ კოლმეურნეებს. საპატიო დაფას ამშვენებს მოწინავეთა სურათები. პირველ რიგში საშა აგრბა უღიმის ყველას.

ახალგაზრდებს ცეკვა-თამაში გაუჩაღებიათ, მოხუცებიც ჩაბმულან მხიარულების ფერხულში. ზეიმობენ გამარჯვებას—შვიდწლედის გეგმა ვადაზე ადრე შეასრულეს. გამარჯვებული ეგებებიან ბედნიერ დღეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცი წლის თავს.

მანქანა შემოგრიალდა ეზოში. მანქანიდან გადმოვიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ალექსანდრე ბესლანძე. სწრაფად წამოვიდა საშასკენ, ხელი გაუწოდა.

— ბარაქალა შენს მარჯვენას, აფხაზო ქალო!..

ოლია გელოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარიამ ჭიკირბა



— რა გინდ უშნო იყოს სოფელი, იქ დაბადებული და გაზრდილი კაცი მაინც იტყვის: რომ იცოდეთ, რა ლამაზია ჩემი სოფელიო. ჰო და, რა გასაკვირია, ჩემს მართლაცდა ლამაზ აფხაზურ სოფელს მუგუძირხვას ლამაზი ვუწოდო?

ეს თქვა და ჩვენ შემოგვხედა, მერე იმგვარად გაგვიღიმა, ისე გულღიად, რომ მაშინვე დავუჯერეთ ნათქვამი.

— ამ სოფელში გავატარე ჩემი ბავშვობის ტკბილ-მწარე დღეები. რვა წლისა მამიდამ წამიყვანა თავისთან, იგი მეზობელ სოფელში—ლიხნში სახლობდა.

ალბათ, თქვენშიც ასე იციან მამიდებმა: მამით დაობლებულ ძმისწულს თავის ოჯახში წაიყვანენ, შვილებში არ გამოარჩევენ და თუ ის შვილები დედამისივით კეთილები არიან, უმამოს სხვებზე მეტი სიყვარული და ალერსი ხვდება ხოლმე.

საბედნიეროდ მეც ასეთი ყოფა მხვდა.

ახლაც თვალწინ მიდგას მაღლობზე წამომდგარი შერვაშიძეების თეთრი სასახლე, უჩვეულოდ განიერი, მოჩუქურთმებული აივნით...

სკოლაში მივდიოდი, თუ იქიდან ვბრუნდებოდი, დიდხანს შევცქეროდი მთავრისეულ სახლს. რამდენჯერ მინატრია, ერთი იმ აივანზე გამატარ-გამომატარა, ან იმ მარმარილოს კიბეებზე აღმა-დაღმა მარბენინა-მეთქი...

რაკი ჩემი სოფელი ახლოს იყო, ხშირად ვნახულობდი დედასა და ძმებს. სალამოობით გრიშასთან და ვალოდიასთან ამხანაგები იკრიბებოდნენ. ხანდახან ჩვენი ახლო ნათესავი ნესტორ ლაკობაც ამოვიდოდა ხოლმე. მაშინ კი იმათი ოთახიდან ისეთი ხმამაღალი ლაპარაკი ისმოდა, სულ მეგონა ჩხუბობენ-მეთქი.

ცხრაასთექვსმეტის მარტში სოხუმში ჩავედი. ისეთი ამინდები იდგა, როგორც მხოლოდ ზღვისპირა ქალაქში იცის ხოლმე—ხან ზამთრის სუსხადევნებული, ხან შუაგაზაფხულივით ცხელი.

პედაგოგიურ სასწავლებელში შესასვლელად ვემზადებოდი. შამშე თოფურიძის სახლში დავბინავდი. ჩვენი სახლის პირდაპირ კი პედსასწავლებლის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ნესტორი და მისი ამხანაგები ცხოვრობდნენ. ისინი შამშეს ოჯახის ხშირი და სასურველი სტუმრები იყვნენ. ახალგაზრდებისა და ხანდაზმული, ფრიად განათლებული სახლის პატრონის საუბარი, ხშირად კამათიც, გათენებამდე გრძელდებოდა. რაღა თქმა უნდა, მეც ხშირად მათთან ვიყავი სმენადქცეული და ბედნიერი...

ერთ საღამოს ამხანაგები მოვიდნენ: ნესტორი მძიმე ავადმყოფია და გიბარებსო.

შევედი თუ არა ოთახში, მისთვის ჩვეული თავაზიანობით ამხანაგებს სთხოვა: მე და მარო ცოტა ხნით მარტო დაგვტოვეთო.

— აი, ეს ქაღალდები ჩემს ბიძაშვილს ვასილს გადაეცი, სხვას არავის ანდო.—მითხრა მაღალი სიცხისაგან სახეალეწილმა ნესტორმა და ქაღალდების სქელი შეკვრა გამომიწოდა,—თუ გინახეს, იცოდე, ცოცხალს არცერთს არ დაგვტოვებენ. აბა, შენ იცი, ჩემო დაიკო, რა მალე მისწვდები ვასოს.

იმ ღამეს ავადმყოფის ლოგინს არ მოვშორებივარ. ან რა აზრი ჰქონდა სახლში წასვლას? სულ ერთია, სიხარული არ დამაძინებდა. რა სიხარული? ეს ხომ პირველი დავალება იყო, თან სახიფათო, სახიფათო და ამიტომ უფრო სასურველი...

ჯერ კიდევ კარგა გათენებულიც არ იყო, რომ ნესტორის დედა და ვასილ ლაკობა კარს მოადგნენ. მათი ჩამოსვლის შემდეგ ავადმყოფს რიგ-რიგობით ვუთევდით ღამეს.

იმ რამდენიმე დღეში თითქოს მეორედ დავიბადე. იმდენი ახალი, იმდენი საინტერესო რამ გავიგე. მაშინ შევიტყვე, რომ აფხაზეთში არსებობდა, თურმე, ფარული რევოლუციური ორგანიზაცია „კერაზი". მაშინ გადავწყვიტე: მეც დაუნანებლად გამეწირა სიცოცხლე ხალხის საბედნიეროდ, მის სასიკეთოდ.

პედსასწავლებელში ვერ მოვხვდი. საღვთო სჯულში ორიანი მივიღე. ნესტორსა და მის ამხანაგებს (ისინი ხომ უკვე ჩემი ამხანაგებიც იყვნენ) თვალს ველარ ვუსწორებდი. სოხუმში აღარ დამედგომებოდა, ყოველ შემთხვევაში მე ასე მეგონა. და მივაშურე ლიხნს, აღმზრდელ მამიდას.

იმდენი ვინაღვლე, იმდენი ვივარამე, რომ ავად გავხდი. ცოტა ძნელი დასაჯერებელია, არა?

შემოგვხედა და ჰულავ იმდაგვარად გაგვიღიმა, ახლაც ისე—უმალ დავუჯერეთ ნათქვამი.

— ხშირ წვიმებს ქალაქში კიდევ არა უშავს, მოითმენს კაცი, მაგრამ სოფლად... საშინელებაა.

ყოველდღე გადაუღებლად წვიმდა. ისედაც გუნებაწამხდარი, სასოწარკვეთამდე მივდიოდი.

ერთ ასეთ წვიმიან დღეს ჩვენი ეზოს დიდ ჭიშკარს წვრილი შეშით დატვირთული ურემი მოადგა. ყაბალახწაკრულმა მეურმემ მარდად და შინაურივით გააღო „საიდუმლოდ დაკეტილი" ჭიშკარი.

ცოტა ხნის შემდეგ მხიარული ლაპარაკითა და სიცილით ოთახში მამიდაჩემი და ის მეურმე შემოვიდნენ.

— ნესტორ!—სიხარულით შევძახე „მეურმეს" და გადავეხვიე.

ვახშმობამდე ბევრი ვილაპარაკეთ. რამდენი იცინა ჩემი გამოქცევისა და ავადმყოფობის მიზეზი რომ გაიგო.

— არა უშავს, მარო, ცოტაც მოითმინე და მალე, სულ მალე უბრალო ხალხს სწავლის უფლებაც ექნება და საშუალებაც. მხოლოდ საამისოდ ბრძოლაა საჭირო, ჯერჯერობით ფარული, შეუმჩნეველი...

მეორე დღეს, დილაბნელში უკვე გუდაუთისკენ მიმავალ გზას ვადექი. ბარათი, რომელიც ნესტორის დავალებით ხაჯარათ შამბასთვის უნდა გადამეცა, ყოველშემთხვევისათვის, თმაში ჩავიმალე და ზედ ნაწნავები დავიგრაგნე. კერაზელები ერთმანეთს საიდუმლო თათბირის მოწვევას ატყობინებდნენ.

რამდენი ხანიც არ უნდა გავიდეს, კერაზელთა ის შეკრება, რომელსაც მე პირველად ვესწრებოდი, არ დამავიწყდება.

1917 წლის დასაწყისი იყო.

პოლიციელთა თვალის ასახვევად კერაზელი კატია ლაკობა დაბადების დღეს «იხდიდა».

ჩვენებური, აფხაზური საჭმელებით გაწყობილ სუფრას „სტუმრები" უსხდნენ: ნესტორ ლაკობა—თამადა, კიაგუს გუბაზი, ზოლო ოტირბა, პეტრე ლეიბა, ბესელ აგრბა, რკინიგზელი სამსონ თელია და სხვები.

მხოლოდ სადღეგრძელოები არ გავდა ჩვეულებრივს, ჩვენებურს.

გადაწყდა—ერთ ჯგუფს: ენიკ შატუგს, ქიამინ გუმბას, ხაჯარათ, ვალოდია და გრიშა ჯიკირბებს კერაზელთა იარაღისა და ტყვია-წამლის საიდუმლო ბინა უნდა გამოენახათ.

მე პროკლამაციების გავრცელება დამავალეს.

ავად ვასრულებდი ამ დავალებას თუ კარგად, არაფერს გეტყვით, ეს კია, რომ გაცოფებული ჟანდარმები დღეს რომ ოჩამჩირეში ექებ-

დნენ „დამნაშავეს“, ხვალ გუდაუთაში აწიოკებდნენ მოსახლეობას, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო...ხალხი ხარბად ეწაფებოდა ხელბარაქიანად მიმობნეულ თეთრ ფურცლებს...

1918 წლის, თუ არა ვცდები, ივნისის საღამოს ჩვენს ეზოში სამსონ თელიამ შემოაგელვა ცხენი. ცხენიცა და ცხენოსანიც ოფლში იყვნენ გახვითქულნი.

— მენშევიკები მიუსერას ტოვებენ, გზად ყველაფერს ანადგურებენ. აჰა, ეს გასაღები გამომართვი, მარიამ, და ჩვენებს გადაეცი: საწყობში 70 უნაგირია, ვიდრე ისიც არ გადაუწვავთ, უნაგირები გადამალეთ!—გასაღები ნაჩქარევად გადმომცა და თუმცა ირგვლივ არავინ იყო, მაინც ხმადაბლა განაგრძო:—მიუსერას ხეობაში, დიდ წყაროსთან, მწყემსი ხაჯიმ აგირბა ცხენების რემას აძოვებს. ცხენებიც გადამალონ, წითელარმიას გადავცეთ!—ეს მითხრა და უმალ უკანვე გაბრუნდა...

მე და ვანო ბაგათელიამ ეს „ამბავი იმავ ღამეს შევატყობინეთ ვასილ ლაკობას, რომელიც პარტიზანელთა ერთი ჯგუფით გაგრის მიდამოებში მოქმედებდა.

მამაცმა პარტიზანებმა ეს ოპერაცია ჩინებულად ჩაატარეს, ერთ-ერთ ცხარე შეტაკებაში მხოლოდ ერთი პარტიზანი დაიჭრა, ისიც მსუბუქად.

1919 წლის ბოლოს ჩემი ბიძაშვილი ხაჯარათი ჩამოვიდა ბათუმიდან და ნესტორ ლაკობას დავალება გადმომცა: ხვალზევით ბათუმში უნდა წავიდეთ, ჩვენებს ფული და საბუთები უნდა წავუღოთო.

ეს წლები ხომ ყველაზე მძიმე წლები იყო აფხაზეთში. აფხაზი ბოლშევიკები ღატაკქვეშეთში გადავიდნენ.

მარიამმა ახლაც შემოგვხედა, მაგრამ იმ ღიმილის ნასახიც აღარ შერჩენოდა სახეზე. წელან რომ ასე მოგვაჯადოვა. მძიმე წარსულის რომელიმე სურათმა თუ გაუელვა წამით.

— ბათუმში იმ ხანად იმალებოდნენ: ნესტორ ლაკობა, კოსტია ინალიფა, მიშა ლაკობა, გიორგი თუმანოვი და სხვები. ისინი ზახაიდა ჯიხ-ოღლის სარდაფში აფარებდნენ თავს (სახლის პატრონი ჯიხ-ოღლი მამიდაჩემის ქმარი იყო).

ადვილი წარმოსადგენია, როგორ გაეხარდებოდათ მათ ჩვენი დანახვა.

საყვარელ საქმეს დროებით მოშორებულნი, თმაწვერმოშვებულნი, ბრძოლამოწყურებულნი გალიაში გამომწყვდეულ ფოცხვრებს გვანდნენ.

ლაპარაკში, კითხვა-გამოკითხვაში ისე დაგვათენდა, არც გაგვიგია.

ბათუმელი ამხანაგების დახმარებით მეორე დღეს ყველანი კატარღით გავაპარეთ—ნოვოროსიისკში წითელი არმიის ნაწილებს უნდა შეერთებოდნენ.

ეს თქვა და გაჩუმდა. მისმა მეტყველმა თვალებმა კი გვითხრა: მეტი აღარაფერი მაქვს სათქმელიო.

ჩვენ გვეგონა ან დაიღალა, ან იქნებ მართლაც, აღარაფერი ჰქონდა სათქმელი.

თურმე კი რამდენი რამ არ უთქვამს, რამდენი რამ...

სხვებისაგან გავიგეთ:

ათასცხრაასოცში, აფხაზეთში წითელი არმიის ნაწილები რომ შემოსულან, მენშევიკებისაგან გაძარცულ-გაჩანაგებულ სოფლებში წისქვილებიც კი დანგრეული ყოფილა. მარიამს მასავით გულშემატკივარი, ჯანღონიანი ქალებისათვის თავი მოუყრია, სურსათ-სანოვაგე შეუგროვებია, ხელის წისქვილზე მთელი დღეები და ღამეები სიმინდი უფქვავთ, და ყველაფერი ეს, ვიდრე ურმებს იშოვნიდნენ, წითელარმიელებისათვის თავიანთი ზურგით მიუზიდავთ...

ამისათვის მათ შტაბის უფროსის მადლობა დაუმსახურებიათ. არც ის უთქვამს, ლამაზი რომ ყოფილა, ისეთი ლამაზი, რომ ბევრ ახალგაზრდას უთენებია მის გამო თვალღია ღამეები... აკი ამიტომაც მოუტაცებიათ. მომტაცებელს არც იცნობდა თურმე და აბა, მარიამისთანა ქალი როგორ გაუჩერდებოდა მოძალადეს? არც ის უთქვამს, რომ ამის შემდეგ საკუთარი ოჯახი აღარ შეუქმნია და მთელი თავისი ახალგაზრდობა ობოლი ძმისწულების აღზრდა-მოვლისთვის შეუღევია.

თავისი მოკრძალებული ხასიათის გამო, თორემ, აბა, რატომ არ გვითხრა, რომ მანამდეც და სამამულო ომის წლებშიც მარიამ კონსტანტინეს ასული ჯიკირბა მისთვის ჩვეული ენერგიითა და თავდადებით რომ მუშაობდა პასუხსაგებ თანამდებობებზე და მთავრობის მრავალი ჯილდო დაიმსახურა.

**ლეილა დადიანი**

# უნგრელი ილონა

ხშირად ხდება ხოლმე, რომ ზოგი ადამიანი პირველსავე შეხვედრაზე იპყრობს თქვენს ყურადღებას. ასეთია ელენე ბეკეშიც. მას ყოველთვის შეამჩნევთ, სადაც არ უნდა იყოს იგი.

ქერათმიანი, სანდომიანი სახის, იგი მსუბუქი ნაბიჯებით შემოვა უცხო ენათა ინსტიტუტში. მეგობრებს ღიმილით ესალმება. ლაპარაკობს ქართულად. ლაპარაკის დროს ზოგჯერ უბის წიგნაკს მოიმარჯვებს. ეს მისი ლექსიკონია. როგორც კი ახალ სიტყვას მოჰკრავს ყურს, მაშინვე ჩაიწიშნავს. რაკი საქართველოში ცხოვრობს, უნდა ქართული ენა იცოდეს კარგად. იგი ინსტიტუტში უნგრულს ასწავლის. თავისი მუშაობით კმაყოფილი ილონა ხანდახან იტყვის: „ჩემი შრომა იმიტომ არის ნაყოფიერი, რომ მე შევისწავლე სტუდენტების მშობლიური ენა, შემიძლია გავაგებინო მათ ყველაფერი“.

ილონამ მტკიცედ გადაწყვიტა და კიდევაც შეუდგა უნგრული ენის სახელმძღვანელოს შედგენას ქართული სიტყვარითა და კომენტარებით. ეს პატარა, მოხდენილი გარეგნობის ქალი ყველაფერს ასწრებს. ინსტიტუტიდან სხვაგან მიეჩქარება ილონას, 1946 წლიდან, საქართველოში ჩამოსვლის დღიდანვე. იგი მუშაობს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში. მისი რედაქციით იგზავნება საქართველოდან მასალები უნგრეთში, მისივე რედაქციით ვრცელდება იქაური მასალები ჩვენთან.

მერე კლინიკაში მიდის, ილონა ექიმიც არის, კლინიკიდან—შინ. ორი შვილის დედას შინაც ბევრი საქმე აქვს. ძმებივით მოსწრებია ახალგაზრდა დედას ორი ვაჟი. უფროსი მეცხრე კლასშია, უმცროსი კი—მეოთხეში.

ღამე, როცა ყველა დაიძინებს და ქუჩაშიც მიწყდება ხმაური, ილონა საწერ მაგიდას მიუჯდება და იწყებს მუშაობას. იგი მოსკოვის სამედიცინო სამეცნიერო ინსტიტუტის ასპირანტურაშიც სწავლობს დაუსწრებლად და სადისერტაციო თემაზე მუშაობს პროფესორ ბელიაევას ხელმძღვანელობით.

ილონა ბეკეშის სამშობლო უნგრეთია და აი, როგორ მოხვდა იგი საქართველოში:

... 1944 წლის შემოდგომაზე უნგრეთში ომის სუსხი იდგა. გერმანელი ფაშისტები ქალაქ ნოდვარდს მიუახლოვდნენ. ნოდვარდში სპეციალური ჰოსპიტალი იყო საბჭოთა მეომრებისათვის. ამ ჰოსპიტალს უმთავრესად მოხალისე მედპერსონალი უწევდა მომსახურებას. აქ მუშაობდა დედისერთა ილონაც, სამედიცინო ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი.

ნოემბრის ცივი საღამო იყო. მესამე დღე იწურებოდა, რაც მთავარი ექიმი სხვა ჰოსპიტალში გამოეძახათ და ჯერაც არ დაბრუნებულიყო. ილონას იმ დღეს ოცამდე დაჭრილი მიეღო, ორი მძიმე ოპერაცია ჩაეტარებინა და მოღლილი თვალებით იხედებოდა ფანჯარაში, ელოდა მთავარ ექიმს.

ამ დროს ჰოსპიტლის კარებს რომელიღაც სანიტარული მანქანა მოადგა. ილონა მაშინვე საოპერაციოში გაიქცა... ოთხი დაჭრილი მოეყვანათ, ერთი სისხლში ცურავდა, მძიმედ ჩანდა დაჭრილი, სამნი კი—მსუბუქად.

ის ერთი მაშინვე საოპერაციო მაგიდაზე დააწვინეს. თვალისდახამხამებაში შემოაჭრა ილონამ დაჭრილს პერანგი და დაათვალიერა. მკლავი აღმოაჩნდა დაზიანებული, ზედ ლახტი ჰქონდა დადებული. ჭრილობა და სისხლში განბანილი სხეული გაუწმინდა. ლახტი შეუხსნა და სასწრაფოდ დაადო კვანძები დაზიანებულ სისხლძარღვებს. მერე ფიზიოლოგიური ხსნარი გაუკეთა.

უნგრელ ქალიშვილს რატომღაც ერთი ნახვითვე მოეწონა შავთვალა საბჭოთა მეომარი. არ ვიცი, იქნებ სიბრალულის გრძნობაც იყო,—ამბობს იგი.

— ნუ გეშინიათ, რადგან ჩვენამდე მოაღწიეთ, აღარ დაიღუპებით!—უთხრა მან ტკბილად. თავად კი შიშობდა, დაჭრილი თითქმის დაცლილი იყო სისხლიდან.

მერე სხვა დაჭრილებს მიხედა. ამასობაში დაღამდა კიდეც. ნოდვარდის მიდამოებში ომის მწუხრი ჩამოწვა. ქალაქის გარეუბნებიდან ზარბაზნების შემზარავი გრიალი ისმოდა. ჰოსპიტალში—დაჭრილთა მძიმე კვნესა. მთავარი ექიმი კიდევ არ ჩანდა.

საღამოს ჩამოვლის შემდეგ, ილონა ისევ შავთვალა დაჭრილთან დაბრუნდა. იგი მთლად გაციებულიყო, ოდნავ სუნთქავდა. ექიმს საკუთარი გულის ბაგაბუგილა ესმოდა. იგრძნო, რომ დაჭრილი ხელიდან ეცლებოდა. უფროსი ექთანი გამოიძახა. უთხრა, რომ საჭირო იყო საჩქაროდ სისხლის გადასხმა. სისხლი არ აღმოჩნდა. მოიტანდნენ მხოლოდ დილით. ეს, რა თქმა უნდა, იქნებოდა გვიანი. „მე გადავუსხამ ჩემ სისხლს“,—თქვა ილონამ და ექთანს უბრძანა თადარიგი დაეჭირა.

... სამასმა გრამმა სისხლმა შვება მისცა დაჭრილს, თვალებში გამოახედა, „ჩემო მხსნელო“,—უთხრა მან ექიმს დილით, მაგრამ ილონას არ ესმოდა მაშინ ამ სიტყვების მნიშვნელობა. ახლა კი ქართულად უყვება თავის ამბავს.

როცა შინ მივიდა, მამას მოუყვა, თუ როგორ გადაარჩინა ერთი შავთვალა საბჭოთა მეომარი. მამას მაინცადამაინც არ ეამა შვილის გატაცება უცხოელით. ჩვეულებრივზე უფრო მკაცრი გამომეტყველება მიიღო და მაშინვე სხვა საკითხზე გადაიტანა საუბარი.

მის შემდეგ აღარც უხსენებია შვილს მამასთან ის დაჭრილი. მხოლოდ იმ დღიდან მოყოლებული საგანგებოდ დამზადებული საჭმელები მიჰქონდა ჰოსპიტალში. მამაც აღარაფერს ამბობდა. გრძნობდა, რომ ლაპარაკი უკვე ზედმეტი იყო.

ვიდრე დაჭრილი გამოჯანსაღდებოდა, უნგრეთში ბრძოლაც მიწყნარდა. გერმანელი ფაშისტები განდევნილ იქნენ უნგრეთის ტერიტორიიდან. მალე საბჭოთა მეომარი და უნგრელი ქალიშვილი შეუღლდნენ და ერთად წავიდნენ ბრძოლის სხვა უბანზე.

გაზაფხულზე ომი დამთავრდა. ორმოცდაექვსი წლის დასაწყისში საქართველოში ჩამოვიდა ილონა, უკვე ერთი შვილის დედა. როგორც თვითონ ამბობს, თბილად მიიღო იგი ქართველმა ხალხმა.

მალე მეორე ვაჟიც შეეძინა. როცა ბავშვები წამოიზარდნენ, სწავლა განაგრძო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში და ორი წლის შემდეგ დაამთავრა წარჩინებით.

— რადგან ჩემი ბედი უცხოეთში ყოფილა, თავს ბედნიერად ვთვლი, რომ ქართულ მიწა-წყალზე მოვხვდი. ყოველი ქართველი ჩემს პირად მოკეთედ მიმაჩნია და საქართველო არა მეორე, არამედ ჩემს პირველ სამშობლოდ, მუდამ მოხარული ვიქნები უნგრელი და ქართველი ხალხის მეგობრობით,—ამბობს ილონა ბეკეში.

**ნინო ციხკარიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთელი

# განთიადი

მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა;
მნათობი სხივებს მაღლით ჰფენს
თავდადებულის საფლავსა.

დადუმებულა მთაწმინდა,
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა;
მდინარე ნანას უმღერის
რაინდსა, ურჩსა მტრისასა...

მთაწმინდა გულში იხუტებს
საშვილიშვილო სამარეს,
მამადავითსა ავედრებს,
აბარებს ქვეყნის მოყვარეს...

მგოსანი გრძნობა მორევით
თვალს ავლებს არე-მარესა.
და გულის პასუხს ნარნარად
უმღერის ტურფა მხარესა:

«ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო!..

«ვერ ავიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ვღვარეო,
წამძლია სულმა და გულმა,
შენს ნახვას დავეჩქარეო.

,,წინ მომეგებენ ღიმილით
შენი მზე, შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,
მოკამკამ-მოელვარეო.

,,გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუყარეო, —
ია და ვარდი დამჭკნარი
ხელახლად გამიხარეო!..

,,ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო!..

,,ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო,
და, რომ მოვკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:

,,დედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო!..
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!''

1892 წ.

## აკაკის ძეგლი ქუთაისში

ბაღში ზის და...
ხალხის გულში ჩუქურთმად ამოთლილა,
ოცნებაში ჩაძირულა თითქოს,
რუსთაველის მემკვიდრე და
ქუთაისის ნათლია
იქნებ ახლად სიმღერებზე ფიქრობს.

ლექსის მეფემ
ცხოვრებაში აირჩია ადგილი,
არ წასულა... ჩვენთან არის ისევ,
ვინც დაგვარქვა
საყვარელო და სანატრელო ქალაქო,
რომ დიდებას გრანიტიდან აწვდის.

ზ. ცხადაძე
კოლმეურნე, მაიაკოვსკის რაიონი.

# აკაკის „სულიკო“

ავადმყოფს მესამე დღეა ლუკმა არ ჩაუკარებია პირში, მიყუჩებულა. ახლობლები შიშმა მოიცვა. ფეხაკრეფით უახლოვდებიან მის სარეცელს.

სასთუმალთან ზის პატარძალი — ბარბარე (ვარინკა) მაჭავარიანი, აკაკი წერეთლის ახლო ნათესავის — სერგო წერეთლის მეუღლე, მის მუდამ მხიარულ სახეზე მოწყენილობა იხატება.

ვიღაცამ დაიჩურჩულა:

— იქნებ, ავადმყოფს ესიამოვნოს ვარინკას სიმღერა.

პატარძალმა გიტარა ისე შეუმჩნევლად ჩამოართვა მომტანს, რომ არც ჰქონდა მოფიქრებული — ემღერა თუ არა, მაგრამ მცირე დუმილის შემდეგ ტკბილი, საამო ხმით დაამღერა. აკაკი შეინძრა, თვალი ოდნავ გაახილა და ისევ დახუჭა.

გაიარა კიდევ ერთმა მძიმე დღემ. დიდმა მგოსანმა ავადმყოფობას სძლია.

მერე მომღერალს აკაკიმ მიუძღვნა ლექსი «რამ მომარჩინა».

ამ შემთხვევამ დაამეგობრა ვარინკა აკაკი წერეთლის ოჯახთან. მუსიკის დიდად მოყვარულ მგოსანს მოსწონდა ვარინკას სიმღერები. განსაკუთრებით კარგად ამღერებდა იგი გიტარაზე აკაკის ლექსებს: «სანამ ვიყავ ახალგაზრდა» და «მუხამბაზი».

წარმოშობით ვარინკა სოფელ კიცხიდან (ორჯონიკიძის რაიონი) ყოფილა. ვარინკას მამა სპირიდონ მაჭავარიანი კიცხიდან ცხრაწყაროში გადასახლდა. მისი ხუთი შვილიდან ვარინკა გამოირჩეოდა, როგორც ლიტერატურისა და მუსიკის მოყვარული. სიმღერა მას ბავშვობიდანვე უყვარდა. შეძლებულმა მამამ შვილს დაუქირავა მასწავლებლები. რომლებმაც შეასწავლეს მუსიკა. რუსული და ფრანგული ენები.

აკაკისთან დაახლოებამ, აკაკის წრეში ილია ჭავჭავაძის. ივანე მაჩაბლის, იაკობ გოგებაშვილის და სხვების გაცნობამ ვარინკა მაჭავარიანი გაათვითცნობიერა და იმ დროისათვის პროგრესულად მოაზროვნე ქალი გახადა.

რეაქციის დროს, 1906 წელს. როცა ალიხანოვ-ავარსკიმ ზესტაფონი და მისი ახლომდებარე სოფლები გადასწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეთრ ხიდზე

ჩვენს სასიქადულო მგოსანს აკაკის უყვარდა ქუთაისი. აქ გაატარა მან ბავშვობა და სიჭაბუკე. მოხუცებულიც ხშირად ეწვეოდა ხოლმე ძველ მეგობრებსა და ნაცნობებს, ქუთაისში.

გავიგებდით თუ არა აკაკის ქუთაისში ჩამოსვლას, მოწაფეები ხან მის ბინასთან ავიტუზებოდით და ველოდით მგოსნის გამოსვლას, ხან თეთრ ხიდს მივაშურებდით, სადაც მას უყვარდა სეირნობა.

...მიდიოდა ხიდზე აკაკი და მისი მადლიანი ზეაწეული სახე, შევერცხლილი თმა და წვერულვაში მზის სხივებით იყო გაბრწყინებული. მის მშვენიერ ღიმილში სიყვარული ისახებოდა, სიყვარული ადამიანებისადმი, მის ცქერაში ზოგჯერ სევდა-კაეშანი გამოკრთოდა, ალბათ, თავისი ქვეყნის ბედ-იღბალზე დარდობდა მგოსანი.

ჩვენ მაშინ მისით ვსუნთქავდით, ვხარობდით, ვხალისობდით.

ჩვენთვის, მოწაფეებისათვის აკაკი სიმბოლო იყო ხათელი მომავლისა, რომლის ნაბიჯები თითქოს გვესმოდა, და რომელსაც გზას ვერ გადაუღობავდა ვერავითარი ბოროტი ძალა.

ჩუმად ავედევნებოდით თეთრ ხიდზე მგოსანს. შეგვამჩნევდა და თავაწეული, ღიმილით მოგვიახლოვდებოდა, უსათუოდ ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ შეგვეკითხებოდა რაიმეს. დარწმუნდებოდა რა ჩვენს ცოდნაში, ცალი თვალის ქუთუთოს შეათამაშებდა და სიხარულით მოგვაპყრობდა მადლიან სახეს.

მერე ღიმილითვე გვეტყოდა: ახლავე გასწით სკოლაში, თორემ დასჯას ვერ ასცდებით და მე კი ვერაფერს გიშველითო.

ე. კალანდაძე

---

ვა, ვარინკა მაჭავარიანი ზესტაფონში ყოფილა და ბევრი წვალება დასჭირვებია იმისათვის, რომ გადაწვას გადაერჩინა მისი სოფელი ცხრაწყარო. შემდეგ ვარინკა მაჭავარიანი, როგორც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების რწმუნებული, სათავეში ჩასდგომია ზესტაფონის თეატრისა და ბიბლიოთეკის აღდგენას. ამ საქმისათვის ვარინკას ხელმძღვანელობით და მონაწილეობით იმართებოდა წარმოდგენები.

ვარინკამ თეატრის აღდგენა ვერ შეძლო, მაგრამ მისი დაუღალავი შრომით აღდგენილ იქნა ბიბლიოთეკა, რომელიც ახლაც არსებობს ზესტაფონში.

ცხრაწყარო ზესტაფონიდან სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. ამ ლამაზ სოფელში, რომელიც მთების ძირშია გაშენებული, მამისეულ სახლში ცხოვრობდა ვარინკა. აქ ახლაც იგონებენ, რომ საჩხერიდან ქუთაისში მიმავალი აკაკი, ან ქუთაისიდან უკან დაბრუნებული, ზესტაფონში ისე არ გაივლიდა, რომ ამ მშვენიერ სოფელში არ დაესვენა, მაშინ მაჭავარიაანთ ფართო ეზოში, ასწლოვანი ცაცხვების ჩრდილქვეშ სანადიმო სუფრა იშლებოდა. ამ ჩრდილში ისვენებდა სავარძელს ზურგმინდობილი აკაკი, მუდამ გაზეთით ხელში.

სწორედ ვარინკას მეგობრობით, მის მიერ გიტარაზე შესრულებული სიმღერით აღძრა სურვილი დიდ მგოსანს დაეწერა რაიმე სასიმღერო ლექსი. 1895 წელს კიდეც დასწერა თავისი «სულიკო», ვარინკას გადასცა და სთხოვა: «შენებურად ხმა გამოუძებნე და იმღერეო». ვარინკამ მართლაც შეასრულა აკაკის სურვილი და უკვდავი მელოდია შექმნა. ასე დაიბადა პოპულარული სიმღერა «სულიკო».

გახარებულმა და მეტად ნასიამოვნებმა აკაკიმ ამის გამო ვარინკას თავისი სურათი უძღვნა წარწერით «ჩემს საყვარელ ბულბულს—სულიკოვარინკას აკაკისაგან», ხოლო ორი წლის შემდეგ ლექსიც მიუძღვნა «მოხუცი და ახალგაზრდა».

1898 წელს ივანე მაჩაბლის ბინაზე პირველად ჩასწერეს მონოგრაფის მორგვზე ვარინკა წერეთლის მიერ შესრულებული «სულიკო». იგი თანდათან გავრცელდა ხალხში. 900-იან წლებში «სულიკოს» ჰანგი ავტორის მონაწილეობით ნოტებზე გადაიღო კომპოზიტორმა კოტე ფოცხვერაშვილმა. 1937 წელს მოსკოვში ქართული ხელოვნების დეკადაზე «სულიკო« შე-



ასრულა აქვსენტი მეგრელიძის გუნდმა. «სულიკოს» ახლა მღერიან არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხები, არამედ ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთაც—დიდ ჩინეთში, ინდოეთში, ინგლისში, საფრანგეთში და სხვაგან.

ლ. ლოლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სინანული

ყოველთვის აგერ ამ ქუჩიდან გამოდის, ქარხნის გვერდზე რომაა. მუდამ სუფთად და ლამაზად აცვია. თმა გვერდზე აქვს გადავარცხნილი, ისე, სურათში, რომ აქვს მამას. ერთი შეხედვით, კეთილი კაცი ჩანს, მაგრამ გამოჩნდება თუ არა, ნანას შიშის ქარი აიტანს. ან რა ქნას გოგონამ? სახლში არავინაა, დედა ამ დროს ყოველთვის სამსახურშია.

უცნობი კი ყოველთვის ასეთ დროს მოდის. დაუძახებლად აღებს ჭიშკარს, თითქოს შინაური იყოს. იცის, როგორ უნდა ასწიოს გაღების დროს კარი, როგორ უნდა დასწიოს დაკეტვისას. გააღებს და შემოვა ეზოში, გზას ისე მოყვება, როგორც დედა, არც იქით გადაუხვევს და არც აქეთ. მოდის პირდაპირ და ალუჩის ხის ძირას დგება. ყველაფერს ცნობისმოყვარეობით მიათვალ-მოათვალიერებს, ახედ-დახედავს. ერთხელ ნაჯახით შეშის დაპობაც კი სცადა. ნანა, კუთხეში მიკუჭული, შიშისგან კანკალებს ამ დროს. ის კი დაინახავს თუ არა გოგონას, მაშინვე მისკენ მოდის. თვალები რაღაცნაირად უელავს. სულ ცდილობს ახლოს მივიდეს მასთან და თავზე დაადოს ხელი. ნანას კი ეშინია, ძალიან ეშინია მისი და უკან იხევს... რა უნდა ამ კაცს? ხომ იცის, რომ დედა სახლში არ არის და ნანას ძალიან ეშინია, როცა მარტოა: მაშ, რატომ მოდის? რატომ მოდის?

არა, დღეს უსათუოდ ეტყვის ნანა დედას, ყველაფერს ეტყვის, აქამდეც ეტყოდა, მაგრამ უცნობიც რომ ეცოდება? აშინებს, მაგრამ მაინც ეცოდება. იგი წასვლისას ყოველთვის უბარებს გოგონას — დედასთან არ წამოგცდეს, რომ მე აქ ვიყავი, თორემ დამიჭერენ და მომკლავენო. ნანას ეცოდება უცნობი, ამიტომ არაფერს ეუბნება დედას, მაგრამ რომ ეშინია? ძალიან რომ ეშინია?

მამა რომ ჰყავდეს ნანას, მაშინ სხვანაირად იქნებოდა საქმე. მაშინ ყველაფერს მამას ეტყოდა. უცნობს მამის არ ეშინია. აკი სულ მამაზე ელაპარაკება? სად არისო, რას აკეთებსო, გიყვარს თუ არაო. რა უპასუხოს?

არც თვითონ ახსოვს მამა. როცა პატარა იყო, დედა ეუბნებოდა — სხვაგანაა წასული და ჩქარა მოვაო. როცა წამოიზარდა და დაჟინებით დაუწყო გამოკითხვა, დედამ ტირილი დაიწყო და უთხრა: «წავიდაო, სულ წავიდაო». ნანამ მაშინ ვერაფერი გაიგო.

ახლა კი... რა ქნას ახლა პატარა გოგონამ?

მამა არა ჰყავს, დედა სამსახურშია, ეს უცნობი კი ყოველთვის აგერ იმ ქუჩიდან გამოდის, ქარხნის გვერდზე რომაა. მუდამ სუფთად და ლამაზად აცვია, თმაც გვერდზე აქვს გადავარცხნილი, ისე როგორც მამას სურათში, დედის საწოლ ოთახში რომ ჰკიდია. დაუძახებლად აღებს ჭიშკარს. იცის, როგორ ასწიოს გაღების დროს კარი, როგორ დასწიოს დაკეტვისას. ჩამოვა ეზოში და გზას ისე მიჰყვება, როგორც დედამ იცის ხოლმე — არც იქით გადაუხვევს და არც აქეთ. მოვა პირდაპირ ალუჩის ძირას, მონახავს შიშისგან კუთხეში მიკუნჭულ გოგონას და...

— ნანა, — ეუბნება, — მოდი ჩემთან ნანა, მოდი, ნუ გეშინია!

«საიდან იცის ჩემი სახელი»? — ფიქრობს ნანა და მონუსხულივით ერთ ადგილზე დგას, განძრევასაც ვერ ახერხებს.

უცნობი კი თანდათან უახლოვდება და თავზე ადებს ხელს.

— მითხარი, ნანა, ვისი შვილი ხარ? — ასე ეკითხება ყოველთვის.

— ელიზბარ ლომთაძის, — ამბობს შემკრთალი გოგონა.

— აბა, კიდევ თქვი!

— ელიზბარ ლომთაძის, — ისევ იმეორებს ნანა.

უეცრად უცნობი იხრება, თითქმის იჩოქებს, მკლავებში ავლებს ხელს და უჭერს, უჭერს ისე მაგრად, თითქოს უნდა მოტეხოს. მერე თავს ზევით უწევს. თვალებში აშტერდება, აშტერდება და თან იმეორებს ერთსა და იმავეს. მთრთოლვარედ, დაუსრულებლად:

— თქვი, ნანა, ვისი შვილი ხარ?

— კიდევ თქვი, ნანა!

— კიდევ თქვი!

— კიდევ!

— კიდევ!

— კიდევ!

შეშინებული გოგონა ხელიდან უსხლტება და გარბის. უცნობი აღარ მიჰყვება მას. იგი ერთ ადგილზე დგას გახევებული და სადღაც შორს იყურება. ნანაც იქვეა, ალუჩას ამოფარებული. თვალმოუშორებლად უყურებს და ხედავს, როგორ ემანჭება სახე უცნობს — შუბლი ეღარება, ტუჩის კუთხეში ნაოჭი უღრმავდება თანდათან და ეკეცება. ქვედა ტუჩი შორდება ზედას და უცახცახებს...

ეცოდება უცნობი ნანას, ძალიან ეცოდება.

მაგრამ რა ჰქნას ნანამ?

ის ხომ პატარა გოგონაა, სულ პატარა... დედა მაინც იყოს სახლში...

დღეს უსათუოდ ეტყვის დედას, უსათუოდ ეტყვის დღეს...

გ. ლაბაძე



გველთევზა
56 წელი



ცხენი
62 წელი



სპილო
85 წელი



არწივი
90 წელი

# კუ არ ჩქარობს საიქიოში წასვლას...



კატა
39 წელი



თუთიყუში
140 წელი



ვეშაპი
37 წელი





კუ
300 წელი



ძაღლი
34 წელი



მუხა
500 წელი

„აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო!“ — ამბობს ძველი ანდაზა. ცხოვრების ხანგრძლივობის სტატისტიკაც სავსებით ადასტურებს ამ მოსაზრებას. ცხოველთა სამყაროს ყველა წარმომადგენლებიდან ადამიანზე უფრო დიდხანს ცოცხლობს მხოლოდ თავისი სიდინჯით განთქმული ჰალაპაგოსისა და ხეიშელის კუნძულების ბინადარი კუ. კურდღელი კი ცხოვრების წლებით შორს რჩება უკან. ყველაზე ხანგრძლივად ცოცხლობენ ხეები — ხანდახან რამდენიმე ათას წელს. იხვისა და კვიპაროსის სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის უზარმაზარი განსხვავებაა—5 ათასეული წელი. ამ გვერდზე ნაჩვენებია ზოგიერთი ცხოველისა და მცენარის სიცოცხლის ხანგრძლივობა.



მაიმუნი
26 წელი



სეკვოია
4000 წელი



იხვი
14 წელი



კვიპაროსი
5000 წელი

# [illegible]



ვიოლეტა — „ტრავიატა“

«თქვენ არ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ როგორ გამომაცოცხლეთ და დამიბრუნეთ ცხოვრებისადმი ინტერესი. ვიტირე, რაც იშვიათად მემართება. ბოლოს და ბოლოს, მე აქ ხომ უცხო ვარ, სმენის დაკარგვის გამო სამყაროსაგან მოწყვეტილი და ამიტომ მარტოობაში განწირული. მაგრამ ამჟამად მშობლიურ, ძვირფას საქართველოდან ჩემამდე მოაღწია დაფასებისა და სიყვარულის თბილმა ეხომ, რომელსაც უმდაბლესად მივესალმები და მადლობას ვიხდი. მთელს ცხოვრებაში ეს არის ყველაზე ძვირფასი პრემია». — წერს რეჯიო-კალაბრიიდან გამოგზავნილ ვრცელ ბარათში დიდი-ხნის წინათ სამშობლოდან გადახვეწილი ქართველი მომღერალი ელენე თარხნიშვილი.

ელენე იოსების ასული თარხნიშვილი პირველი ქართველი საოპერო მომღერალი ქალია იტალიის სცენაზე. იგი ქართლში დაიბადა. თბილისში გაიზარდა, მერე უცხოეთში უცხო იადონი 28 წელი გალობდა, და უცხო ბუდეში ზრდიდა ჩინებულ მომღერლებს. ამჟამად კი თმაშევერცხლილი, დათალხული, ყრუ მანდილოსანი რეჯიო-კალაბრიაში აწ გარდაცვლილი მეუღლის ნათესავებს შეხიზვნია და მარტოობაში ატარებს ბედშავ მოხუცებულობას.

იტალიელებმა პენსიაც კი არ დაუნიშნეს. მეგობართა დახმარებით, შეერთებულ შტატებში გარდაცვლილი ქმრის პენსია ძლივს მიიღო, რომლითაც «ერთ დღეს ჯანმრთელი კაცი ჯავს ვერ გაიტანს». — წერს იგი. დავრდომილს წამალიც კი ვერ უყიდია სიძვირისა და პენსიის სიმცირის გამო. ცხოვრობს პაწია ოთახში და ქუჩაშიც ვეღარ გამოდის უილაჯო სნეული.

1960 წლის 19 სექტემბერს იწერებოდა: «ვიღას ვუნდივარ მოხუცი და ავადმყოფი? ორგანიზმი ისე დამერღვა და დამეღალა, რომ ძლიერ დავძაბუნდი... მშობლიურ ქვეყანაში, ნათესავებთან მომაკვდავის ჩამოსვლა დაგვიანებულია. ჩამოსასვლელი თანხაც რომ მქონდეს, სამგზავრო ძალაც არა მაქვს. გმადლობთ ღვიძლნო».

ელენე თარხნიშვილმა, როგორც მომღერალმა, მშობლიურ ქვეყანაში მხოლოდ ერთი წელი დაჰყო. მერე უცხოეთში წავიდა...

ე. თარხნიშვილი დაიბადა 1881 წლის 28 მარტს სოფ. კოდაში (ახალქალაქი). დაწყებითი მუსიკალური განათლება თბილისში მიიღო რატილთან. 1905 წელს პეტერბურგს გაემგზავრა და ფონ-დაკესთან გააგრძელა სწავლა, ხოლო 1908-1909 წლებში ვ. სარაჯიშვილის დახმარებით მილანში მოეწყო და პროფესორ ემა დოტისთან დახვეწა თავისი ვოკალური ხელოვნება. «ყოველივეს ვანოს ვუმადლი და უსაზღვროდ მადლობელი ვარ მისი,» — იწერება ელენე იტალიიდან.

1910 წელს შეერთებულ შტატებში იმოგზაურა კომპოზიტორ მასკანის მიერ შედგენილ იტალიურ დასსთან ერთად. მომდევნო წელს იტალიის ქ. მონცში დებიუტი მიიღო და განებივრებული მსმენელი მოხიბლა «ტრავიატაში» ვიოლეტას პარტიის შესრულებით. შემდეგ ქ. მოდენაში 12-ჯერ ბრწყინვალედ შეასრულა ეს პარტია.

1911 წლის მიწურულს ელენე სამშობლოს მოევლინა ჯილდას, მიმის, მარგარიტას, ვიოლეტას სახით. თანამემამულენიც მოაჯადოვა და წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მშობლიურ თბილისში, მილანში დამეგობრებულ ვანო სარაჯიშვილს გაუწია პარტნიორობა, საგასტროლოდ ეწვია ქუთაისს, ბათუმსა და ბაქოს. 1912 წლის 15 აპრილს გამოეთხოვა საქართველოს და პეტერბურგით იტალიას დაუბრუნდა, სადაც დიდი წარმატებით მღეროდა პირველ პარტიებს. 1920 წელს იტალიელ მომღერალ არტურო ვიტას (ტენორი) მისთხოვდა. 1925 წელს ქ. ბერგამოში მღეროდა, მაგრამ ავადმყოფობამ საოპერო კარიერას ჩამოაცილა და მილანში პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა.

1926 წლიდან ელენე ვიტას ვოკალურ სკოლაში ბევრი ცნობილი მომღერალი აღიზარდა. მისმა იაპონელმა მოწაფე ქალმა ამერიკასა და იტალიაში გაითქვა სახელი, მილანის «ლა სკალაშიც» კი მღეროდა მთავარ პარტიებს. მეორე მოწაფე 1959 წელს კანადაში მღეროდა. ელენეს ყოფილ მოწაფეთაგან ზოგიერთი უკვე მასწავ-



ლებლობს: ერთი — მონრეალში, მეორე — ამსტერდამში, მესამე — მილანში და ორი — ნიუ-იორკში.

ე. თარხნიშვილს იოლად არაფერი მიუღია. ყველაფერი უპროტექციოდ, დაუცხრომელი შრომით მოიპოვა. გავიდა ხანი. ჟამთა ვითარებამ ბევრი სიმწარე არგუნა. მძიმე და განუწყვეტელმა ჯაფამ არაქათი გამოაცალა ჯან-ღონით სავსე ქალს. მეორე მსოფლიო ომმა წელში გაწყვიტა და მთლად დააბეჩავა იგი.

1953 წელს ელენემ მილანი მიატოვა და რეჯიო-კალაბრიაში გადასახლდა, სადაც სანუგეშოდ საღიღინებლად შემორჩენილი ხმა და ძველი ფოტოებიღა დარჩენია — შესციცინებს ნაცნობ სახეებს, გასცქერის ცის ტატნობს ზღვის საწიერზე, და გულდათუთქული აკაკი წერეთლის მიერ მიძღვნილ ლექსს ღიღინებს: «ნეტავ იმას, ვინც შენს ტკბილ ხმას ერთხელ კიდევ გაიგონებს»... მაგრამ რა? მას ერთი ბგერაც არ ესმის თავისი სიმღერის, მხოლოდ გრძნობს და განიცდის მასში გამოხატულ ღედასამშობლოს სიყვარულს, სამშობლოსი, რომელიც სანატრელ ზმანებად ესახება.

ა. ცაგციშვილი

პატარებისთვის

# ტყუილი, თუ მართალი

გაზაფხული მიილია,
დადგა ცივი ზამთარი.
ტყუილი თუ მართალი?

ძლიერ უყვარს ფისუნიას
მსხლის და ვაშლის ნათალი.
ტყუილი თუ მართალი?
იხვი ცურავს, იხვი დადის.
საფრენადაც მზად არის.
ტყუილი თუ მართალი?

მგელს დავუგე კაკანათი,
დავუყარე მარცვალი.
ტყუილი თუ მართალი?

პაწაწინა ლოკოკინას
მხრებით დააქვს სახლკარი.
ტყუილი თუ მართალი?

საქათმისკენ კუდამელას
მუდამ ახსოვს გზა-კვალი.
ტყუილი თუ მართალი?

ძალ-ღონეში ჭიანჭველას
არავინ ჰყავს ბადალი.
ტყუილი თუ მართალი?

საბუდარში კატა იწვა,
სახლს იკლებდა კაკანით.
ტყუილი თუ მართალი?

ერთ დღეს ჭამა მამლაყინწამ
ერთი ტონა თავთავი.
ტყუილი თუ მართალი?

ზევით ცა და ქვევით მიწა —
ვერ უპოვო საზღვარი.
ტყუილი თუ მართალი?

დახეთ, დახეთ შეშის მჭრელსა —
შეშას ხერხავს ნამგალით!
ტყუილი თუ მართალი?

გაზაფხულზე ჭარხალს ვთესავ,
ზამთარში მაქვს შაქარი.
ტყუილი თუ მართალი?

სახუმაროდ გითხარ ლექსად,
სულ ეს არის რაც არის.
კარგ მთქმელსა და გამგონესა
ენის წვერზე შაქარი.

გ. ჭიჭინაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# შემთხვევა ტრამვაიში

ახლადჩამომდგარ ტრამვაის ვაგონში ავედი. წინ წავიწიე და მოხერხებულ ადგილზე გავჩერდი, რადგან თავისუფალი დასაჯდომი ადგილი არ იყო.

ჩემს წინ ბიჭი იდგა. იგი 14-15 წლის იქნებოდა. საკინძეგადალეღილს, პერანგის ქვეშიდან მაისურა მოუჩანდა. თმა შუბლზე უწესრიგოდ ეყარა, რაც მისი ხასიათის დაუდევრობაზე მეტყველებდა. იგი მოუსვენრად წრიალებდა, რითაც მგზავრების შენიშვნებს იმსახურებდა. უეცრად ჩემს ახლოს მჯდომი ახალგაზრდა ქალი წამოდგა. ახლადამოსულ ხანშიშესულ მანდილოსანს მიეგება.

— მობრძანდით, ქალბატონო მარიამ, აი აქ დაბრძანდით!

როდესაც მობრუნდნენ, ადგილი ბიჭის მიერ დაკავებული აღმოჩნდა. აღშფოთებულმა ახალგაზრდა ქალმა ბიჭს მიმართა:

— თუ ვერ მიხვდი, რომ ადგილი სხვას დავუთმე, ის მაინც იცოდე, როდესაც უფროსები ფეხზე დგანან, შენ დაჯდომის უფლება არ გაქვს!

— ვინ არის, ტო, დარიგებაც დამიწყო! — გასძახა მან ვაგონის ბოლოში მდგომ ამხანაგს, თანაც ხელით ახალგაზრდა ქალზე მიუთითა, თავისივე სიტყვებზე უტიფრად გაიცინა, საჯდომზე შესწორდა, ჯიბიდან მზესუმზირა ამოიღო და ვითომ აქ არაფერიაო, არხეინად კნატუნი დაიწყო. მოურიდებლად ისროდა პირიდან ჩენჩოებს და მის წინ მჯდომ მამაკაცს ტანსაცმელზე აყრიდა.

კონდუქტორი მიუახლოვდა.

— ბილეთი შეიძინე!

— ჩავდივარ, დეიდა.

— ჩასვლით ყველა ჩავა, ვაგონში დასახლებას არავინ აპირებს. შეიძინე ბილეთი! — გაუმეორა კონდუქტორმა.

— ვა, სულთამხუთავი ხომ არა ხარ. არ მაქვს ფული, მომეშვით! — მიუგო ბიჭმა.

— ფული თუ არ გაქვს, ჩადი ვაგონიდან! — გაცხარდა კონდუქტორი.

— შენ, ეი! რას ჩააცივდი. ვერ გაიგონე, არა აქვს ფული. — გამოესარჩლა ბიჭს ამხანაგი.

— გაუშვი, იაროს, ბავშვია, იქნებ არა აქვს ფული! — უფროსებშიც აღმოჩნდა ბიჭის დამცველი. ვიღაცამ ისიც ურჩია კონდუქტორს: დაანებე თავი, მაგასთან ვერაფერს გახდებიო.

— როგორ თუ ვერ გავხდებით! მაშასადამე, ამან უნდა გვაჯობოს ყველას!? — გაცხარდა მოქალაქე, რომელსაც ბიჭმა მზესუმზირას ჩენჩოები შეაყარა.

— მაგისმა მშობლებმა იკითხონ, ასეთი შვილი რომ ეზრდებათ, თორემ მე რა საერთო მაქვს მაგ ბიჭთან, — სთქვა ახალგაზრდა ქალმა და გასასვლელისაკენ წაიწია.

— როგორ თუ არა გაქვთ საერთო! — აღელდა ერთ-ერთი მგზავრი.

ქალი გასასვლელთან შეჩერდა და უკან მოიხედა.

— მე რად მიჯავრდებით. რა შემიძლია გავაკეთო. მშობლებს ვერ აღუზრდიათ, მე დავუწყო გაზრდა?! — უთხრა გაკვირვებულმა უცნობ მამაკაცს.

— რა გავაკეთოთ?! იცით, რომ ქალაქში ასეთები ჯერ კიდევ არიან. ვინ იცის, სად შეგვხვდებიან და რა უსიამოვნებას მოგვაყენებენ! რად ვერიდებით?! ბავშვია, აღზრდა ესაჭიროება! უფრო ახლოს უნდა მივიტანოთ გულთან ბავშვების საქციელში გამოვლინებული უხეშობა. ნურც იმას ვიტყვით, ჩემი არ არისო — ის ჩვენია, ყველასია...

იგი შედგა, ამოისუნთქა. კვლავ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ახალგაზრდა ქალი უკვე ვაგონიდან ჩავიდა. ახლა მეორე მოქალაქე ჩაერია საუბარში:

— მართლაც და რატომ მარტო მისმა მშობლებმა უნდა იკითხონ? ამ ბიჭის მშობლები იქნებ დილით ადრე გადიან სამუშაოდ. უზედამხედველოდ დარჩენილი ბიჭი აღმა-დაღმა დადის, ნაცვლად იმისა შინ იჯდეს, გაკვეთილებს ამზადებდეს. ყველას ევალება ბავშვს ყურადღება მიაქციოს, მიუთითოს, ასწავლოს.

— მართალია, მარტო მშობლები ვერას გახდებიან, მაგრამ რას აკეთებს სკოლა? — იკითხა ხანშიშესულმა ქალმა.

— სკოლაში ბავშვი ატარებს მხოლოდ 3-4-5 საათს, დღის დანარჩენ ნაწილს კი — ოჯახში ან ქუჩაში. ვინ უნდა უპატრონოს სკოლიდან წამოსულ ბავშვს! მასწავლებელმა?! — ვიკითხე მე.

— მასწავლებლები, რა თქმა უნდა, შინ ვერ გამოჰყვებიან ბავშვებს, მაგრამ მათ ისე უნდა დააყენონ აღზრდის საქმე, რომ...

— სცდებით, ქალბატონო! — მიმართა ხანშიშესულ მანდილოსანს დარბაისელმა მამაკაცმა. — აღზრდისაგან ოჯახი არავის გაუთავისუფლებია. სკოლას ოჯახი მხარში უნდა ედგას, არამც თუ მარტო ოჯახი, საზოგადოებრიობაც. ამის აუცილებლობას ჰქმნის ჩვენი ცხოვრების პირობები. მშობლები დღის უმეტეს ნაწილს სამუშაოზე ატარებენ, ბავშვებს კი ყველამ უნდა მივაქციოთ ყურადღება შეძლებისდაგვარად. თქვენ არავინ გავალებთ, სხვის შვილებს ტანთ ჩააცვათ, ან ასვათ-აჭამოთ. მზრუნველი სიტყვა კი არ უნდა დაიშუროთ. თქვენ ეტყვით, მე, ის, ყველა მოვთხოვთ წესიერებას, მივუთითებთ, დავტუქსავთ და ბოლოს და ბოლოს ის შეიგნებს დანაშაულს. ჩვენ უშუალო კონტაქტში ვართ ბავშვებთან: ქუჩაში, ტრანსპორტში, კინო-თეატრებში, ბაღებში და სხვა საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში. დედა სამუშაოდან დაღლილი ბრუნდება, ოჯახის საქმეს ჰკიდებს ხელს. შვილებს უნდა გაურეცხოს, საჭმელ-სასმელი მოუმზადოს და სხვა.

— გამოდის ისე, რომ დედის გარდა ყველას გვცალია? — თქვა ერთმა ახალგაზრდა ქალმა.

— არა, ქალბატონო, თქვენ ვერ გამიგეთ, ან მე ვერ გამოვთქვი შეიძლება გასაგებად. მოცლილები არავინ არა ვართ, ყველანი საქმეზე მივდივართ, ამ დროს ვხვდებით ასეთ ბავშვებს, ჩვენს შვილებთანაც სხვები იმყოფებიან შემთხვევით. ამ შეხვედრებისას უნდა მოვახდინოთ მათზე გავლენა.

და მამაკაცი, რომელმაც ასეთი გაცხოველებული კამათი გამოიწვია, მივიდა ბიჭთან, მხრებში ხელი ჩაავლო, ფეხზე წამოაყენა. ბიჭი შეეცადა ხელიდან გასხლტომოდა.

— ადგილიდან ფეხი არ მოიცვალო! — უთხრა უცნობმა (როგორც შემდეგ გავიგე, ზეინკალი ყოფილა) ისეთი ტონით, რომ ბიჭი ადგილზე სარივით დაესო.

— შეიკარი საკინძე!

ბიჭმა ბრძანება მყისვე შეასრულა.

— ამოიღე ჯიბიდან ფული, ბილეთი შეიძინე!

— არა მაქვს, ძია, ფული. — შეშინებული ბიჭი განზე იცქირებოდა.

— ჰმ! ფული არა აქვს, რომ ბილეთი შეიძინოს, მზესუმზირის საყიდლად კი ყოველთვის მოეძებნება, აქაურობას ანაგვიანებს და ჩენჩოებს ტანისამოსზე გვაყრის, — თქვა წყრომით მამაკაცმა, ჯიბიდან ფული ამოიღო, კონდუქტორს მიაწოდა, მიღებული ბილეთი ბიჭს გადასცა, თან დასძინა:

— არ დაივიწყო, ექვსი შაური გმართებს, პირველი შეხვედრისთანავე დამიბრუნე. განზე ნუ იცქირები, პირდაპირ შემომხედე, რომ დამიმახსოვრო.

ამ დროს ტრამვაი გაჩერდა.

— ჩავიდეთ! — უთხრა ბიჭს.

— არა, ძია, აქ არ ჩავდივარ. — მიუგო ბიჭმა.

— სწორედ აქ უნდა ჩავიდეთ! აბა, ნუ ვიგვიანებთ! — ისეთი სიმკაცრე ისმოდა მამაკაცის ხმაში, რომ ბიჭი მყისვე გასასვლელისკენ გაემართა. მეც მათ მივყევი. დიდიხანია უნდა ჩავსულიყავი, მომხდარმა ამბავმა და მის ირგვლივ ატეხილმა კამათმა დამაინტერესა და შემაგვიანა.

ზეინკალმა უზედამხედველო ბავშვთა ოთახში შეიყვანა ბიჭი. მე კი გზაზე მიმავალი კვლავ მომხდარ ამბავზე ვფიქრობდი. ვინც მსგავს შემთხვევებს მშვიდად შეხვდება და გზას აუღელვებლად განაგრძობს, ეგოისტია, ცხოვრობს მარტო თავისი ცხოვრებით. ასეთ ადამიანს არც სამშობლო უყვარს და არც თავისი ხალხის მომავალი აინტერესებს.

**ჯულიეტა გრძელიშვილი**

პროფესიული კავშირი ზრდის თავის წევრებს საბჭოთა პატრიოტიზმის, შრომისა და საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით; ეწევა მუშაობას მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის, მუშათა კულტურულ-ტექნიკური დონის საინჟინერო-ტექნიკური შრომის მუშაკთა დონემდე აყვანის ამოცანის განხორციელებისათვის. პროფკავშირები **„არის ორგანიზაცია აღმზრდელობითი, ორგანიზაცია საქმეში ჩაბმის, სწავლების, ესაა სკოლა, სკოლა მმართველობის, სკოლა მეურნეობის, სკოლა კომუნიზმისა“ (ლ ე ნ ი ნ ი).**



# ადგილკომის თავმჯდომარე

პროფორგანიზაციის ადგილკომის თავმჯდომარის ოთახის კარები წამდაუწუმ იღება. შემოდის ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე... ყოველ მათგანს რაღაც აქვს სათქმელი, შესათანხმებელი, რაღაც აწუხებს... ყურადღებით უსმენს ყველას მარიამ მიხეილის ასული ვარდენგა და არცერთის თხოვნას უყურადღებოდ არ ტოვებს.

7994

წელს 300-ზე მეტი განცხადება შემოვიდა ადგილკომში და ყველა დაკმაყოფილებულია.

თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს პროფკავშირულ ორგანიზაციას, რომელიც ათასამდე წევრს აერთიანებს, კარგი მუშაობის ტრადიცია აქვს.

მუშაკთა შრომითი პირობების გაუმჯობესებისათვის ადგილკომის უშუალო ჩარევით და შუამდგომლობით საავადმყოფოს მინერალური წყლებითა და ტალახით სამკურნალო განყოფილებაში მოეწყო ვენტილაცია, სამრეცხაოში თეთრეულის გადასაზიდად დაიდგა მექანიკური ამწე.

პროფორგანიზაციამ დირექციასთან ერთად შეჯიბრება გაშალა საავადმყოფოს განყოფილებებსა და დიასახლისებს შორის სისუფთავის დაცვაზე.

სპეციალური ვიმპელები, რომლითაც გამარჯვებულ განყოფილებებს აჯილდოებენ, დიდ სტიმულს ქმნის.

თანამშრომელთა კომუნისტური შეგნებულობისა და მათი კულტურული დონის ამაღლებისათვის ადგილკომი ხშირად მართავს ლექციებს, მოხსენებებს, საღამოებს, შეხვედრებს, ექსკურსიებს...

ადგილკომი სისტემატურ დახმარებას უწევს მცირეხელფასიან თანამშრომლებს, კავშირის წევრთა ასობით ბავშვი იგზავნება ზაფხულობით პიონერულ ბანაკებში დასასვენებლად და სხვა.

ამიტომ არის, რომ მარიამ ვარდენგა უყვარს თავის კოლექტივს და 15 წლის მანძილზე შეუცვლელად ირჩევენ ადგილკომის თავმჯდომარედ.

და განა მარტო თანამშრომლებში, ავადმყოფების დიდ სიყვარულსაც იმსახურებს მარიამი. მისი ადამიანური გულისხმიერება და გულთბილობა ხიბლავთ მათ. ბევრი, ძალიან ბევრი ფაქტი მეტყველებს ამაზე.

აი, თუნდაც ვიტია ზალონენკოს ამბავი მოვიგონოთ. ეს უდედმამო ბიჭი მატარებლის ქვეშ ჩავარდა. იგი საავადმყოფოში მოიყვანეს. დედასავით უვლიდა მარია ვარდენგა ობოლ ბიჭუნას. სამი წელი იავადმყოფა ვიტიამ. ადგილკომი სისტემატურად აგზავნიდა ბიჭს პიონერთა ბანაკში. და ბოლოს, როცა გამოჯანმრთელდა, საბავშვო სახლში მოაწყვეს... ისწავლა... ახლა ინჟინერია და თავის დედობილს სწერს: «კატასტროფამ, რომელიც თბილისში შემემთხვა, თქვენთან შემახვედრა, თქვენ კი კაცი გამხადეთ... განა შევძლებ ოდესმე ამ ამაგის გადახდას?..»

ვიტიასავით ობოლი იყო ფაინა სოლოვიოვაც. გოგონა მთლიანად პარალიზებული, მხედველობადაკარგული, უიმედო მდგომარეობაში მოიყვანეს საავადმყოფოში. მარიამ მიხეილის ასულმა ჩვეული მზრუნველობა აღმოუჩინა გოგონას, ცდილობდა გაემხნევებინა, მეგობრული, ოჯახური გარემო შეექმნა მისთვის, საკუთარი შვილი და მისი ამხანაგები გააცნო. გოგონა მთელი არსებით გრძნობდა ამ სითბოს. ფაინა განიკურნა, მხედველობაც დაუბრუნდა.

«ძვირფასო მარი მიხაილოვნა, — წერს იგი დედობილს.— თქვენ არამარტო ლამაზი გარეგნობა, სულიც ლამაზი გაქვთ...»

და განა ერთი და ორი? ასობით მადლობის წერილები მოსდის მარიამს.

ეს წერილები, მთავრობის მრავალრიცხოვანი საპატიო სიგელები და მადლობაა მარიამის სიმდიდრე.

**გ. ბახტაძე**

თამარ ალექსანდრეს ასული კენჭიაშვილი 13 წელზე მეტია რაც ქ. თბილისის 51-ე საშუალო სკოლის პროფორგანიზაციის ადგილკომის თავმჯდომარეა. მრავალი წლის მანძილზე პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად თამარი კარგად ათავსებს ამ სერიოზულ საზოგადოებრივ დატვირთვას და დიდი გამოცდილებაც აქვს ამ მხრივ. ადრე იგი სკოლამდელი აღზრდისა და საბავშვო სახლების მუშაკთა პროფკავშირის შრომის ინსპექტორად მუშაობდა 26 კომისრის რაიონში. კარგი მუშაობისათვის მრავალი ჯილდო და მადლობა აქვს მიღებული.

ყველასადმი სათუთი და გულისხმიერი პროფმუშაკი დღესაც ენერგიულად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას, ამიტომ პედაგოგიურმა კოლექტივმა ახლაც ერთხმად აირჩია თამარი სკოლის ადგილკომის თავმჯდომარედ.





# პიანისტი

ბაფთიანი გოგონა ერთ წერტილს მისჩერებოდა. უცბად ადგილს მოსწყდა და მეზობელ ოთახში შეიჭრა.

— დაუკარი, კიდევ დაუკარი, — შეევედრა თავის უფროს მეგობარს და ისიც უკრავდა პატარა დობილის საყვარელ მელოდიებს.

ხშირად ასეც ხდებოდა: როცა ნაცნობ ხმას ყურს მოჰკრავდა, თვითონაც „უკრავდა" საკუთარ საბავშვო ინსტრუმენტზე, თითებს გაწაფული პიანისტის სიმარდით დაარბენინებდა კლავიშებზე.

და აი, 7 წლის ქსენია დედამ ე. ბაინდუროვას კერძო მუსიკალურ სკოლაში მიიყვანა, სადაც ის პირველად გაეცნო მუსიკის ანბანს.

1926 წლიდან ქუთაისის მუსიკალურ სასწავლებელში მეცადინეობს, ჯერ ე. ტალვიგის კლასში, შემდეგ გულისხმიერ პედაგოგ ლ. ნაკაშიძესთან. ქსენიამ მისგან ისწავლა შრომის სიყვარული და პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა. ქუთაისში მისი ყოველი გამოსვლა სასკოლო და საშეფო კონცერტებზე მსმენელთა გულწრფელ ტაშს იმსახურებდა.

1928 წელი... ქუთაისის მუსიკალური სკოლის არსებობის 10 წლის იუბილე. იმ საღამოზე პირველი დიდი შემოქმედებითი სიხარული განიცადა. ცეროდენა გოგონამ დიდი ოსტატობით შეასრულა მისი ასაკისათვის მეტად რთული ნაწარმოები—შუბერტის ექსპრომტი მი ბემოლ მაჟორი და მიიქცია კომპოზიტორ ა. ბალანჩივაძისა და ცნობილი მუსიკოსი ქალის ლარისა ქუთათელაძის ყურადღება.

იზრდებოდა მომავალი მუსიკოსი, თანდათან იხვეწებოდა მისი საშემსრულებლო ტექნიკა, კრიტიკულად უდგებოდა ყოველი ნაწარმოების შესრულებას. ასე ჩამოყალიბდა დახვეწილი გემოვნება, მუსიკალური ფრაზის გააზრებულად გადმოცემის უნარი.

გოგონას მარტო მუსიკა როდი იტაცებდა. აინტერესებდა მათემატიკა და ლიტერატურა, ხიბლავდა თეატრი, ოცნებობდა რეჟისორობაზე. მაგრამ მუსიკის ძლიერმა სიყვარულმა 1932 წელს თბილისის კონსერვატორიაში მიიყვანა. აქ იგი ეზიარა შესანიშნავი პედაგოგების ლარისა ქუთათელაძისა და ანასტასია ვირსალაძის პიანისტურ სკოლებს. ქალიშვილმა მათგან ისწავლა კარგი შემსრულებლისათვის საჭირო ჩვევები. მონაწილეობდა დიდ კონცერტებსა და რადიოგადაცემებში.

1937 წელს ნიჭიერი ქართველი ქალი გაგზავნეს მოსკოვში, სადაც შემდეგში ცნობილ მუსიკოს-შემსრულებლებთან—რიხტერსა და ტამარკინასთან ერთად შესანიშნავად ჩააბარა მისაღები გამოცდები ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში. იგი ჩაირიცხა გამოჩენილი პედაგოგისა და პიანისტის ჰ. ნეიჰაუზის კლასში.

მალე ქართველი ქალიშვილი ჩაება მოსკოვის მუსიკალურ ცხოვრებაში. სამამულო ომის მრისხანე წლებში დაბრუნდა საქართველოში და მუშაობას შეუდგა ქუთაისის მუსიკალურ სასწავლებელში.

... 1945 წელი. 9 მაისმა დიდი სიხარული მოიტანა. ქსენია ისევ მოსკოვშია. ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს აცნობს დედაქალაქის მუსიკის მოყვარულებს.

დადგა სახელმწიფო გამოცდების დღე.

საკონცერტო დარბაზი სიბნელეში ჩაიძირა. შეწყდა ჩურჩული.

ქსენიამ ბრწყინვალედ შეასრულა ლისტის, ბრამსის, შოპენის, პროკოფიევის, ბალანჩივაძის მუსიკალური ნაწარმოებები. განსაკუთრებით დიდი მოწონება ხვდა ა. მაჭავარიანის „ხორუმს“.

აი როგორ ახასიათებს ქსენიას პროფესორი ჰ. ნეიჰაუზი: „მის დაკვრას ახასიათებს დიდი ტემპერამენტი და ვირტუოზული ბრწყინვალება, კარგი, ღრმა ბგერა... იგი არა მარტო ნიჭიერი მუსიკოსია, არამედ დიდი ინიციატივის, დიდი ორგანიზებულობის ადამიანი და ნამდვილი პედაგოგიური ტალანტია“.

ყოველწლიურად აწყობს ქსენია ჯიქია თავისი კლასის საჯარო-საანგარიშო კონცერტებს, საჩვენებელ გაკვეთილებს, ქართული მუსიკის თემატურ კონცერტებს. მან ბევრი ნიჭიერი პიანისტი გამოზარდა, ბევრს გადასცა თავისი მდიდარი ცოდნა-გამოცდილება.

მე-4 მუსიკალური სასწავლებელი, რომლის დირექტორიც ქსენია ჯიქიაა, მუსიკალური კულტურის ერთერთი თვალსაჩინო კერაა თბილისში. ამ სასწავლებელში აიდგეს ფეხი და დიდი მუსიკალური ცხოვრების „საგზურები“ მიიღეს კომპოზიტორებმა რ. ლაღიძემ და ა. ჩიმაკაძემ, სტალინური პრემიის ლაურეატებმა ბ. ჭიაურელმა და ა. ბეგალიშვილმა, ოპერის სოლისტებმა ლ. გოცირიძემ და ნ. მიქელაძემ, პ. თომაძემ და შ. კიკნაძემ, პიანისტმა ლ. მიქაბერიძემ და ბევრმა სხვამ, რომლებმაც შორს გაუთქვეს სახელი ქართულ მუსიკალურ კულტურას.

ლენინის რაიონში იშვიათად შეხვდებით ადამიანს, რომელიც არ იცნობდეს ამ ქალს. ამომრჩევლები პატივს სცემენ მას—დეპუტატს, გულისხმიერ ამხანაგსა და საუკეთესო აღმზრდელს. მათ კარგად იციან, რომ იგი საკითხს მოუგვარებელს არ დახტოვებს, მომსვლელს უპასუხოდ არ გაისტუმრებს.

ლენინის რაიონს, დედაქალაქის ერთერთ უდიდეს რაიონს, არ ჰქონდა კულტურისა და დასვენების პარკი. დღეისათვის დეპუტატის ინიციატივით ეს საკითხი მოგვარებულია—ბაღი, რომელიც მდებარეობს კინოთეატრ „საქართველოსთან“, გადაკეთებულია კეთილმოწყობილ პარკად, იგი ახლა რაიონის მშრომელთა დასვენებისა და კულტურული გართობის შესანიშნავი ადგილია. რაიონის ბავშვებისათვის გაიხსნა მე-12 მუსიკალური სკოლა, ქსენია ჯიქიას ინიციატივით მე-4 მუსიკალურ სასწავლებელთან ჩამოყალიბდა რესპუბლიკის პირველი მუსიკალური ლექტორიუმი...

1960 წლის მარტმა ქართველი ქალის ბიოგრაფიაში ყველაზე დიდი სიხარული ჩასწერა. ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ქსენია ჯიქიას მიენიჭა დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება.

ერთი უბრალო, ჩვეულებრივი საბჭოთა ქალია. მაგრამ მისი საქმიანობა ჩვეულებრივზე მეტს ამბობს. ვერასოდეს ნახავთ თავისი თავით კმაყოფილს, მიღწევებით თავბრუდახვეულს. მიდის დრო, იზრდება მისი მადლიერი, ამაგდადებული ადამიანების რიცხვი.

**იზოლდა აზმაიფარაშვილი**

# დედის სიხარულად...

შრომასა და ჯაფაში გავიდა წლები. თმა შეუვერცხლდა... სახე დაეღარა. ჯანმრთელობასაც უჩივის ხანდახან. გული ისევ მხნე აქვს. დაისვენეო,—ეუბნებიან შვილები, აბა, რა დაასვენებს! მგრძნობიარეა დედის გული, შვილებისას ყველაფერს განიცდის, ადვილი ხომ არ არის რვა ვაჟიშვილის დედობა.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები იყო. ეკონომიურ გაჭირვებას განიცდიდა გიორგი ხუციშვილის ოჯახი. დედა უსინათლო ჰყავდა. მხნე და მშრომელი მეუღლე პელაგია კი დღე და ღამეს ასწორებდა, რომ ოჯახი წამოეწია. 1928 წელს ცოლ-ქმარი პირველნი შევიდნენ კოლექტივში. 1931-34 წლებში გიორგი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. საქმე მოემატა პელაგიას. ბავშვები ზედიზედ ჩნდებოდნენ. სტუმარმაც იმატა, სახლში მის მეტი საქმის გამკეთებელი არავინ იყო. დილით რომ წავიდოდა კოლმეურნეობის ნაკვეთში, ბავშვებს თან წაიყვანდა. აბა, რა ექნა! უფროსებს სკოლაში რომ გაგზავნიდა, უმცროსებს მეთვალყურე არავინ ჰყავდათ. მინდორში ორი შვილი გაზარდა—კონსტანტინე და გურამი. ფირანი კი, როგორც მათზე უფროსი, მათი მეთვალყურე იყო. ტრიალ მინდორზე ჩრდილს რომ ვერ ნახავდა პელაგია ჩარდახს გაუკეთებდა ბავშვებს. შინ გვიან დაბრუნებული, ახლა ოჯახსა და უსინათლო დედამთილს მიხედავდა, დაგვიდა, დარეცხავდა, ბავშვებს მოუვლიდა, წვრილფეხს აჭმევდა. ოჯახში ტკბილი და მწარე არ აკლდა.

1946 წელს ჭარხლის უხვი მოსავალი მოიყვანა, რისთვისაც „შრომის წითელი დროშის“ ორდენით დააჯილდოვეს.

ყოველწლიურად ირჩევდნენ კოლმეურნეობის გამგეობის წევრად. ადგილობრივი საბჭოს დეპუტატად ორჯერ აირჩიეს, რაიონული საბჭოს დეპუტატად—სამჯერ. ორ წელიწადს სახალხო მსაჯულიც იყო.

მის მკერდს მარტო „შრომის წითელი დროშის“ ორდენი არ ამშვენებს. იგი დაჯილდოებულია, აგრეთვე, გმირი დედის II ხარისხის ორდენით.

ხალხის ნდობას ყოველთვის ამართლებდა. აბა, როგორ ათქმევინებდა ვინმეს: „თავმჯდომარის ცოლია და არაფერს აკეთებსო“.

1950 წელს პელაგია კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს.

ასე გავიდა დრო. დაიზარდნენ შვილები, ისწავლეს, ოჯახები შექმნეს. უფროსი შვილი შალვა გორის ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორია, მომდევნო, შუქრი, სამამულო ომში დაიღუპა, კავკასიის მისადგომებთან დაეცა გმირული სიკვდილით. ოთარი ხოვლეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ცხვრის ფარას მწყემსავს. ფირანი თბილისში სინათლის გამნაწილებელ პუნქტში ერთერთი მოწინავე მუშაა.

კონსტანტინე და გურამი გორში არიან შრომის ფეხსაცმლის ფერხულში ჩაბმულნი. ნოდარი საბჭოთა არმიის რიგებშია, პანტელეიმონი გორის ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობს.

ყველამ საკუთარი ცხოვრების გზა მონახა, მაგრამ მოამაგე მშობლებს არ ივიწყებენ, როცა ყველა ერთად თავს მოიყრის, დედის გული სიხარულით ივსება. თვალებში შესციცინებს პელაგია შვილებსა და შვილიშვილებს, ეალერსება. რძლებზე კი გულნატკენია: შვილებს ნაკლებად აჩენენო. ბევრ შვილს მეტი მოვლა უნდა, მაგრამ შრომა ყოველთვის უყვარდა პელაგიას. არც ახლა ისვენებს. გიორგის ნაკვეთი აქვს აღებული. ყურძნის უხვი მოსავალი მოჰყავს. აბა, როგორ მოუშლის მხარს. რაც კი სჭირდება ვაზს—გასხვლა, შეყელვა თუ შეწამლვა—ყველაფერი პელაგიას ხელმა უნდა გააკეთოს. აკეთებს და შრომაც უფასდება.

**ნორა ედიშერაშვილი**

# წარმოებაში გაიზარდა

მხოლოდ შვილების უდარდელი კისკისი ჰფენდა შუქს კლავდია გერსამიას დამწუხრებულ გულს. იცოდა, მათ არასოდეს დაუბრუნდებოდათ ფრონტიდან მამა, მაგრამ სევდიანი თვალებით მაინც არ შეხედავდა შვილებს. «დამეზრდებიან, სევდას გამიქრობენ»,—ფიქრობდა ხშირად...

და აი, პატარა ვაჟა თავისი გულმოდგინებით უკვე აკვირვებდა სოფელს და დედის გულს ამაზე უფრო რა გაახარებდა. მალე ის საბჭოთა არმიაში გაიწვიეს. სახლში პატარა მარგო და დედა დარჩნენ.

— ქალაქში წავალ!—მტკიცე კილოთი უთხრა ერთ დღეს დედას მარგომ,—საღამოს სასწავლებელში მოვეწყობი. წარმოებაში ვიმუშავებ.

კლავდიამ იცოდა მისი ქალიშვილი საზიანოს არაფერს აიჩემებდა. და მალე მარგო საღამოს სკოლის მოწაფე და ინგურქაღალდკომბინატის ფართომოხმარების საამქროს მუშა გახდა.

პირველად მოკრძალებით აკვირდებოდა ყველას მუშაობაში გამოუცდელი გოგონა, უხარისხოდ გამოუდიოდა სარვეულე ქაღალდების დალაგება, დაჭრა, აკინძვა. ზოგიერთები ალმაცერადაც უყურებდნენ: «შენ აქ არ გამოდგები, ბავშვო»...—ეუბნებოდნენ. მაგრამ ასეთ სიტყვებს მარგო ყურადღებას არ აქცევდა. აქაც მისი მტკიცე ხასიათი გამოჩნდა. «როგორ თუ არ გამოვდგები? ვერ დავეუფლები შრომას, განუხორციელებელი დარჩება ჩემი სურვილები?!—ფიქრობდა და გადაწყვიტა მიებაძა მოწინავე ამხანაგებისათვის, დღითიდღე გაეუმჯობესებინა მუშაობის ხარისხი.

და მალე ის საამქროში მისაბაძი და ყველასათვის საყვარელი ამხანაგი გახდა.

ახლა მაროს სახელი ყველას ენაზე აკერია კომბინატში. ყველას უყვარს სკოლაში მოწინავე და წარმოებაში დაუზარელი გოგონა.

ქაღალდის საამქროში კომკავშირული შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი იყო, როცა საღამოს სასწავლებელი დაამთავრა და სიმწიფის ატესტატი აიღო. მალე ის პოლიგრაფიის ორწლიან სასწავლებელში ეწყობა თბილისში, წარმატებით ამთავრებს და ისევ თავის ბრიგადას უბრუნდება. უფრო გამოცდილად ატრიალებს პატარა ხელებს დაზგაზე და გულდანდობილად უზიარებს ამხანაგებს თავის გამოცდილებას.

1956 წელი აღსანიშნავი თარიღია მარგოს ცხოვრებაში. ახალგაზრდა ქალიშვილს კომუნისტური პარტიის რიგებში ღებულობენ. მარგო მორცხვად დგას კრების წინაშე. სახეზე ვარდისფერი გადაჰკრავს, გული გამალებით უცემს...

1957 წელს მარგო მოსკოვს მიემგზავრება ქაღალდისა და ხე-ტყის მრეწველობის საკავშირო გამოფენაზე.

კონვერტების სანიმუშო ხარისხისათვის I ადგილი, საამქროს ქების სიგელი—ასეთი საჩუქრებით დაბრუნდა ის კომბინატში.

— ყოველი კარგი წამოწყების ინიციატორი საამქროში მარგოა,—ამბობს საამქროს უფროსი.—მის ბრიგადას კომუნისტური შრომის ბრიგადა ჰქვია და ამიტომ სარგებლობს დიდი ავტორიტეტით. ყველა ჩამორჩენილ ან მუშაობაში სუსტ მუშას მის ბრიგადაში ვაგზავნით. მარგოსთან ისინი ყველანი მოწინავენი ხდებიან!

იციან, რომ პირფერობა არ უყვარს, არც ბევრი ლაპარაკი...

აუჩქარებელი, გამართული ნაბიჯით შემოდის საამქროში. უხდება ლურჯი ხალათი და თავსაკრავი. საამქროში ისმის ქაღალდის შრიალი და მანქანების დაგა-დუგი. ცვლის ოსტატი დინჯად უვლის ყოველ მაგიდას და გამოშვებულ პროდუქციას გულმოდგინედ ათვალიერებს.

— ეს ოზმა-მჭრელი მანქანაა,—უხსნის მარგო ახალმიღებულ ამხანაგებს,—გამზადებულ პროდუქციას გვერდებს უსწორებს, ერთ ჩაწყობაზე ასი სარვეულე ქაღალდი ეტევა. აქ მეტი სიზუსტეა საჭირო. დავუშვათ, ვერ გამოვზომეთ და ოდნავ უსწოროდ გადავჭერით,—ერთ წუთში ასი რვეული გაფუჭებულია... ამას კი აგრეგატ «ლტ-ს» ეძახიან. 13 წლის წინ, როცა მე აქ მუშაობა დავიწყე, ძალიან რთული იყო რვეულების დამზადება. სარვეულე ქაღალდს ხელით ვ-აზავდით, მერე ვჭრიდით ფორმატზე. დავთვლიდით 12-12 ფურცელს, დვკეცავდით, საშრობებს ჩავაწყობდით... ამდენი პროცესის მაგიერობას ახლა ეს მანქანა ასრულებს.

— თქვენს ბრიგადაში შერჩეული მექაღალდეები იქნებიან,—ვეუბნებით.

— გგონიათ ყველა გამოცდილები მოდიან ქარხანაში, ან ყველანი უნაკლოდ მუშაობენ?—ღიმილით გვეუბნება ქალიშვილი,—არა, ჩვენ ვეხმარებით ერთმანეთს. თუ ჩვენს შორის ვინმე ცუდად მუშაობს ან ჩამორჩენილია, ვცდილობთ მივაგნოთ ამის მიზეზებს და ის აუცილებლად მოწინავეთა რიგებში ჩავაყენოთ...

* * *

— მართლა დაავიწყეს შვილებმა კლავდიას დარდი.—ამბობენ ახლა სოფელში.

ვაჟა საბჭოთა არმიიდან დაბრუნების შემდეგ ცელულოიზის ქარხანაში მოეწყო ელექტრო-მონტიორად, რძალი—ნინა ლავროვა ცენტრალური ლაბორატორიის ინჟინერ-ტექნოლოგია. კლავდიას გული სიხარულით ევსება, როცა დამტვრეული ქართულით ესაუბრება ნინა, «დედას» ეძახის რუსი რძალი...

მარგოს ოცნებასაც ფრთები შეესხა...

დედას ნინა მოუვლის, ოჯახს ვაჟა მიხედავს, მარგო კი მოსკოვს გაემგზავრება სასწავლებლად. ინჟინერი ქალიშვილი დაუბრუნდება დედას, კომბინატს, თავის საამქროს, თავის ბრიგადას.

ბ. შერვაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი პრემიერი ქალი



«წყეულიმც იყოს ის ქვეყანა, რომელსაც მართავს დედაკაცი, წყეულიმც იყოს რეგვენი, რომელიც ემორჩილება ქალის ხელისუფლებას!»

ასეთი პლაკატები იყო გაკრული ცეილონის სოფლებსა და ქალაქებში პარლამენტის არჩევნების წინ, მაგრამ ამან ვერ გასჭრა. ცეილონელებმა წაიკითხეს ეს ლოზუნგები და... უმრავლესობამ მაინც ხმა მისცა ქალს — სირიმავო ბანდარანაიკეს.

ისტორიას ახსოვს მრავალი ქალი, რომლებიც მართავდნენ თავიანთ ქვეყანას. ესენი იყვნენ დედოფლები თუ მეფე-ქალები. ცნობილია აგრეთვე ბევრი ბრწყინვალე პოლიტიკოსი ქალი. მაგრამ ქალი პრემიერის სახით დღეს პირველად მოგვევლინა, ამასთან ცეილონში, იმ ქვეყანაში, რომელიც აზიაში მდებარეობს, დედამიწის იმ ნაწილში, სადაც ქალი ხშირად იძულებულია იბრძოლოს თავისი სრულიად ელემენტარული უფლებების მოსაპოვებლად. რას მივაწეროთ, რომ ეს მოხდა ცეილონზე?

XVIII საუკუნის დასასრულს ცეილონი დაიპყრო ინგლისმა და აქცია თავის კოლონიად. 1948 წელს ცეილონმა დამოუკიდებლობა მოიპოვა და გახდა ბრიტანეთის ხალხთა თანამეგობრობის წევრი. 1956 წ. იქ მიმდინარეობდა არჩევნები. არჩევნებში ხმის უმრავლესობა მიიღო თავისუფლების პარტიამ, რომლის ხელმძღვანელი სოლომონ ბანდარანაიკე გახდა პრემიერი. თავისუფლების პარტია იცავდა წვრილი ბურჟუაზიის, ხელოსნებისა და გლეხობის ინტერესებს, ბანდარანაიკემ გაატარა რამდენიმე დემოკრატიული ხასიათის რეფორმა (საავტომობილო გზების ნაციონალიზაცია, ნაწილობრივი მიწის რეფორმა და ა. შ.), მისმა მთავრობამ მთელი რიგი სავაჭრო ხელშეკრულებანი დასდო სოციალისტურ ქვეყნებთან.

ეს არ მოსწონდათ ბანდარანაიკეს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს — მსხვილ ბურჟუაზიას. ისინი სხვადასხვანაირი საშუალებებით გამოდიოდნენ მთავრობისა და პრემიერის წინააღმდეგ. გასული წლის სექტემბერში პრემიერი ბანდარანაიკე მოკლულ იქნა. მას ესროლა ბუდისტმა ბერმა, მაგრამ ყველასათვის ცხადი იყო, რომ მკვლელის ზურგს უკან იმალებოდნენ ბურჟუაზიული პარტიის ხელმძღვანელები. ისინი ცდილობდნენ არ დაეშვათ ძიება, ირწმუნებოდნენ, რომ თითქოს ბუდისტმა ბერმა მოკლა იგი პირადი მტრობის გამო.

ბანდარანაიკეს სიკვდილის შემდეგ თავისუფლების პარტია დასუსტდა. მან დაკარგა თავისი გავლენა, და რაც მთავარია, შესწყვიტა არსებობა, როგორც მთავრობის სათავეში მდგომმა პარტიამ. ამ დროს თავისუფლების პარტიის ხელმძღვანელებმა პოლიტიკურ საქმიანობაში ჩააბეს პრემიერის ქვრივი ქ-ნი ბანდარანაიკე. ადრე ეს 42 წლის ქალი ოჯახობდა, ზრდიდა შვილებს და საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა ქალთა ორგანიზაციებში. მიმდინარე წლის მარტში, გაზაფხულის საარჩევნო კამპანიაში ქალბატონმა ბანდარანაიკემ გამოამჟღავნა დიდი აგიტატორული ნიჭი. ის ხალხს ანცვიფრებდა თავისი ამაღელვებელი სიტყვებით, მოუთხრობდა ყველას ქმრის ცხოვრებასა და მისი ტრაგიკული სიკვდილის შესახებ, ტიროდა ცხარე ცრემლებით და იპყრობდა ადამიანთა გულებს.

სირიმავო ბანდარანაიკეს მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში მეტისმეტად დაგვიანებული იყო, რომ გამარჯვება მოეტანა თავისუფლების პარტიისათვის. მაგრამ მანდატების რაოდენობამ, რომელიც ამ პარტიამ მიიღო, შესაძლებელი გახადა მიმდინარე წლის ივლისში ახალი არჩევნები დაენიშნათ. ამჯერად თავისუფლების პარტიამ კვლავ მოიპოვა ხმის უმრავლესობა და ქ-ნი ბანდარანაიკე დაინიშნა პრემიერ-მინისტრად, ამასთანავე ასრულებს თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობას.

* * *

ცეილონი მდებარეობს ინდოეთის სამხრეთით, ინდოეთის ოკეანეში, მისი დედაქალაქია კოლომბო. ფართობი უდრის 65, 6 ათას კვ. კილომეტრს, მოსახლეობა 9 მილიონამდეა. ცეილონის მეურნეობაში წამყვანია ჩაის (მესამე ადგილი უჭირავს მსოფლიოში) და ქოქოსის პალმის პლანტაციები. მაგრამ მაინც დიდი ხნით კოლონიურ მონობაში მყოფი ცეილონი ამჟამადაც ძალზე ღარიბ ქვეყნად ითვლება. პოლიტიკური შეხლა-შემოხლა ცეილონზე ახლაც გრძელდება, რადგან სირიმავო ბანდარანაიკეს მთავრობის მოწინააღმდეგეებს — მსხვილი ბურჟუაზიის და პლანტატორების პარტიის წევრებს — არ სურთ ხელი აიღონ თავიანთ შემოსავალზე და პოლიტიკურ გავლენაზე.

თარგმანი პოლონურიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოჯახური ქრონიკა

(ქმარი სადილობს..ცოლი სარკესთან კოსმეტიკით ერთობა)

— მივირთვი ეს ბადრიჯანი. რა ვქნა ახლა?

— რა და აალაგე. ხომ ხედავ, არ მცალია.

— ქალო, კიდევ მინდა რამე. ეს მეყოფა ამხელა კაცს?

— რამ გაგამგელა, ადამიანო. ჩაის მეტი არაფერი ჩამცდენია დღეს პირში და ქე ვარ.

— შენ ფიგურის გულისათვის იკლავ შიმშილით თავს. ხომ არ გინდა მეც იტალიურ დიეტაზე გადამიყვანო?!

— მადლობის მაგიერია ხომ, სადილი რომ დაგახვედრე?

— მომკლა სულ ამ ზეთიანი აჯაფსანდალის ჭამამ. სამსახურში მეუბნებიან რა ზეთი ჩამოგდის პირიდანო.

— შე უღმერთო, ამისთვისაც რომ ვიცლი, არ გიკვირს? მეც ადამიანი ვარ თუ არა?

— გამაგებინე, შენ ქმნი ოჯახის მატერიალურ დოვლათს თუ მე?

— უყურე ერთი, სხვის საქმეს რომ არაფრად თვლის! შენ დადიხარ მკერავთან პრიმერკებზე? შენ იხვევ თმას და შენ ზიხარ კოსმეტიჩკასთან საათობით? გატკიცინებულ ლოყაზე რომ მითათუნებ მაგ გასახმობ ხელებს, ხომ კაია? ახლა შვილი?

— სადაა ის უდღეური?!

— გაგიხმა მაგი ენა. ბავშვი გადაიღალა და ეზოშია.

— იმას რაღა პრობლემები აწუხებს?

— შეგარცხვინა ღმერთმა. სულ არ გეცოდება შვილი. ადგება თუ არა—აბა, მუსიკა. მერე—არიქა, ფრანგული, იქედან—ჩქარა, ცეკვის წრე, მერე—ეს ოხერი სკოლა.

— იცოდე, ტყუილად ყრი ჩემი ოფლით ნაშოვნ ფულს. მაგისგან არაფერი გამოვა.

— რატომ ვითომ?

— როგორ მითხრა, აბა, მაგ ცხვირმოუხოცავმა ღორივით ჭამა იციო. მარჩენალ მამას ეს უნდა ჰკადროს?!

— შენი ბრალია. ბავშვს ალერსი და სითბო უნდა.

— სითბო კი არა, მთლად გატუტუცდა, ერთი რომაა.

— რა გინდა მაგით თქვა?

— რა და მეორე უნდა გააჩინო!

—აბა, სწორედ, ლატავრას სიყვარულს ცინდლიან ღლაპს გავუყოფ.

—ბოლოს და ბოლოს, როგორც მამას, მაქვს თუ არა უფლება, ვიფიქრო შვილის გაჩენაზე.

— არ ამაკივლო ახლა, სახეზე მაზი მაქვს წასმული და ნაოჭები დამაჩნდება. მაინც რა გინდა, საოპერაციო მაგიდაზე დავტოვო სული?

— ადამიანო, ხუთი ანგელოზივით და-ძმა რომ ვართ, ქალმა გვშობა თუ ინკუბატორმა?

— ვიცი, გინდა დედაშენივით ჩამოვჭკნე და კაცმა ზედ არ შემომხედოს. მაგრამ ვერ ეღირსები. ასეთი ფიგურა მქონდა გათხოვებამდის? ქალს სამაჯური მწვდებოდა წელზე. აგერ მადონა და იზოლდა ერთ ბავშვსაც არ აჩენენ. ქე არიან ქალიშვილებივით.

— მადონას და იზოლდას დეექცეს ოჯახი! ადამიანო, მემკვიდრე მინდა, ბიჭი!

— იმიტომაა გოგოს რომ მოგდებულივით უყურებ?

— ხომ ხედავ, ჩვენს გვარში ათი წელია ბიჭი არ გაჭაჭანებულა.

— გვარი თვარა ახლა ბაგრატიონების პირდაპირი შთამომავლები ხართ.

— რაცა ვართ, უძიროდ ვშენდებით. მთელი გვარი სანთელივით შემომცქერის.

— ადექი და გააჩინე მერე!

—მასე ხომ? თუ მარგალიტივით ბიჭი არ ღაგისკა სახლში, კაცი არ ვყოფილვარ!

— დეიკარგე, შე გლახა! მე გავბრიყვდი, თვარა რომელი ქალი გაგიჩერდებოდა?

ამ დროს ეზოდან მოისმის ყვირილი: უიმე, ჩემი ვასკა, ჩემი საყვარელი კატა როგორ მომიკლა ამ სადისტმა, ამან! დედამისო, გეყო სარკესთან პრანჭვა-გრეხა. მომაცილე შენი ნადირი ცოგო. თვარა ციხეში ჩავჯდები და მაგას ყელს გამოვგლეჯ!

ც ო ლ ი—უყურე ერთი იმ ქოფაკ დედაკაცს, ეზოში აღარ ატარებს ბავშვს. ფუი, შენს მამობას. შვილს გიკლავენ და დგახარ ასე ლენჩივით. (გადის).

ქ მ ა რ ი—ჯერ სადა ხარ! ატუტუცე მასე მარტოდმარტო. კატას კი არა, მალე შენ გამოგიყვანს წირვას!

ფ ა რ დ ა

**არლი თაყაიშვილი**

უტექსტო ხუმრობა





ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოსმეტიკა

## ცხმიანი კანის მოვლა

**(კოსმეტიკური ნიღბები და ლისიონი)**

როგორც ჟურნალის წინა ნომერში აღვნიშნეთ, კოსმეტიკური ნიღაბი კარგად მოქმედებს ცხიმიან კანზე, აშრობს და აშორებს მას ზედმეტ ცხიმს.

ნიღაბის გაკეთების წინ სახე საპნით უნდა დაიბანოთ და წაისვათ 2%-იანი სალიცილის მჟავის სპირტიანი ხსნარი. შემდეგ გაიკეთებთ ნიღაბს. ნიღაბის მასალა თანაბრად უნდა წაისვათ მთელ სახეზე (მხოლოდ თვალების ირგვლივ წაისვამთ მკვებავ მალამოს) და დატოვებთ 20-25 წუთის განმავლობაში. ასეთია ნიღაბის გაკეთების საერთო წესი.

ნიღაბი მრავალი სახისაა. ახლა ჩვენ გთავაზობთ რამდენიმე მათგანს.

1. ც ი ლ ი ს  ნ ი ღ ა ბ ი: 1 კვერცხის ცილა კარგად ათქვიფეთ და ბამბის ტამპონით წაისვით სახეზე. როცა სახე გაშრება, წაისვით მეორედ, ასევე მესამედ და 20 წუთის შემდეგ მოიბანეთ ჯერ თბილი და შემდეგ ცივი წყლით.

2. ც ი ლ ი ს ა  დ ა  ლ ი მ ო ნ ი ს  ნ ი ღ ა ბ ი: 1 კვერცხის ათქვეფილ ცილას თანდათანობით დაუმატეთ 1 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი. თან განუწყვეტლივ ურიეთ და წაისვით იმავე წესით. ეს ნიღაბი აშრობს და ათეთრებს კანს.

3. ც ი ლ ი ს ა  დ ა  წ ყ ა ლ ბ ა დ ი ს  ზ ე ჟ ა ნ გ ი ს  ნ ი ღ ა ბ ი: 1 კვერცხის ათქვეფილ ცილას თანდათანობით დაუმატეთ 5 ან 10%-იანი წყალბადის ზეჟანგის ხსნარი (10-20 წვეთი) და თან ურიეთ განუწყვეტლივ. ხმარების წესი იგივეა. ეს ნიღაბი აშრობს, აფერმკრთალებს კანს და კრავს ფორებს.

4. ც ი ლ ი ს ა  დ ა  შ ა ბ ი ს  ნ ი ღ ა ბ ი: ათქვეფილ ცილას თანდათანობით დაუმატეთ 5%-იანი შაბის ხსნარი. ხმარების წესი იგივეა. ეს ნიღაბი იხმარება ძლიერ ცხიმიანი და ფორიანი კანისათვის.

5. ბ ა დ ი ა გ ი ს  ნ ი ღ ა ბ ი: ბადიაგას დაუმატეთ 3%-იანი წყალბადის ზეჟანგი ისე, რომ მიიღოთ ფაფისებური მასა და ბამბის ტამპონით ფრთხილად წაისვით სახეზე. დატოვეთ 15-20 წუთით, შემდეგ კი ჩამოიბანეთ ცივი წყლით. ამის მერე შეგიძლიათ წაისვათ პუდრი.

6. კ ა ლ ე ნ დ უ ლ ა ს  ნ ი ღ ა ბ ი: 1 სუფრის კოვზი კალენდულა (შეგიძლიათ შეიძინოთ გომეოპატიურ აფთიაქში) გახსენით ნახევარ ჭიქა ადუღებულ ცივ წყალში. დაასველეთ ამ ხსნარში ბამბის თხელი ფენა ან მარლა და დაიფინეთ სახეზე 15-20 წუთით. შემდეგ მოიხსენით, სახე ჩამოიბანეთ ცივი წყლით. ეს ნიღაბი კარგად მოქმედებს ცხიმიან და მუწუკიან კანზე.

7. ს ა ფ უ ა რ ი ს  (დ რ ო ჟ ი ს)  ნ ი ღ ა ბ ი: 20-25 გრ საფუარს დაუმატეთ 2%-იანი წყალბადის ზეჟანგის ხსნარი ან რძე ისე, რომ მიიღოთ ფაფისებური მასა და ბამბის ტამპონით თანაბრად წაისვით სახეზე. დატოვეთ 15-20 წუთი. შემდეგ მოიბანეთ ცივი წყლით და წაისვით პუდრი.

8. კ ი ტ რ ი ს,  კ ო მ შ ი ს,  ლ ი მ ო ნ ი ს  ნ ი ღ ა ბ ი: კიტრი კანიანად დაფხეკეთ საფხეკზე. 1 ჩაის ჭიქა ნაფხეკს დაუმატეთ 1 ჩაის ჭიქა პურის არაყი და დადგით ორი კვირით. შემდეგ გადმოასხით, გასწურეთ და დასველებული ბამბის თხელი ფენა დაიდეთ სახეზე 20 წუთით. შემდეგ მოიბანეთ ცივი წყლით.

ასევე მომზადდება კომშისა და ლიმონის ნიღაბის მასალაც. კომშის, კიტრის და ლიმონის ხსნარი შეიძლება სახის გასაწმენდადაც (ლისიონად) იხმაროთ.

ქვემოთ გთავაზობთ ლისიონის ორ რეცეპტს ცხიმიანი სახისათვის.

1. ლ ი მ ო ნ ი ს  ლ ი ს ი ო ნ ი: 1 ჩაის ჭიქა ადუღებულ ან გამოხდილ წყალს დაუმატებთ 1 ლიმონის წვენს, 2 ჩაის კოვზ სუფთა გლიცერინს, 1 ჩაის კოვზ ბორაქს (ბურა), 3 გრ თეთრი შაბის ფხვნილს, ნახევარ ჩაის კოვზ ბორის მჟავას, 4 ჩაის კოვზ სუნამოს (სუნამო შეიძლება შევცვალოთ ორი სუფრის კოვზ ხუთვარსკვლავიანი კონიაკით). ეს ლისიონი მეტად უხდება ცხიმიან და მოდუნებულ კანს.

2. ც ი ლ ი ს  რ ძ ე: 3 კვერცხის ცილა ათქვიფეთ ნაზად ისე, რომ ლორწოვნება დაკარგოს, ჩაასხით ბოთლში, დაუმატეთ 1 ან 2 ლიმონის წვენი, ანჯღრიეთ 1 საათის განმავლობაში და დადგით. მეორე დღეს თანდათანობით დაუმატეთ 250 გრ პურის არაყი და ანჯღრიეთ ორი საათის განმავლობაში. ეს ლისიონი ათეთრებს კანს და კრავს ფორებს.

* * *

ძლიერ ცხიმიანი, ფერისმჭამლებიანი და მუწუკიანი კანი, უპირველეს ყოვლისა, კარგად უნდა გაიწმინდოს კოსმეტიკურ კაბინეტში. შემდეგ კი საჭიროა ფიზიო-თერაპიული მკურნალობა (დარსენვალით-ლურჯი სინათლით).

ჩირქიანი მუწუკების მოსაშორებლად კარგ შედეგს იძლევა 5 ან 10%-ანი სინტომიცინის ემულსია. ამას ბამბის ტამპონით წაისვამთ დღეში 3-5 ჯერ. ერთი კვირის განმავლობაში, დღეში 3-4 ჯერ მიიღეთ თითო ტაბლეტი სინტომიცინი (შინაგნად), ხოლო თუ სინტომიცინს თქვენი ორგანიზმი ვერ იტანს—ბიომიცინი, გარდა ამისა, უნდა მიიღოთ პოლივიტამინები. კარგ შედეგს იძლევა დღეგამოშვებით სისხლის გადასხმა პენიცილინთან ერთად.

ვულგარული ფერისმჭამლების სამკურნალოდ (ეს უკანასკნელი კი გამოწვეულია კუჭნაწლავის მოქმედების დარღვევით) ექიმები უნიშნავენ გასუფთავებულ გოგირდს—დასალევად.

ზღვა და მზის სხივები ასუფთავებენ ცხიმიან და მუწუკიან კანს. ა ი,  რ ა  პ უ დ რ ი  ი ხ მ ა რ ე ბ ა  ც ხ ი მ ი ა ნ ი  კ ა ნ ი ს ა თ ვ ი ს: „კრასნაია მოსკვა", „კრემლი", „კამელია", პუდრის ქვეშ წაისვამთ კრემებს: „სნეგუროჩკა", „კრასნაია მოსკვა", „სნეჟინკა", „კამელია", „მაგნოლია", „ბელაია ნოჩ" და სხვა.

ექიმი კოსმეტოლოგი

**ვალიდა ცხოვრებაშვილი**

# ჩვენი ქალები

## ინჟინერი

საშუალო ტანისაა, ღია ფერის თმა აქვს, თვალები—დიდრონი. უყვარს სადა, კოპლებით მოჩითული კაბა.

იცინის მუდამ, იცინის თვალებით.

ამიტომაც თქვეს საავტომობილო ქარხანაში: ეს გოგონა სიცილის მეტს არაფერს გააკეთებსო.

პირველად თუ ეჭვის თვალით შეხვდნენ, მალე დარწმუნდნენ, რომ შრომაც კარგი შესძლებია. მან ხომ წარჩინებით დაამთავრა თბილისის კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

საამქროს ხელმძღვანელებს მუყაითი ქალიშვილი შეუმჩნეველი არ დარჩათ. საიარაღო-სატვიფრო საამქროს ენერგოსამსახურში ერთი წლის ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ იგი საამქროს ენერგეტიკოსად დააწინაურეს.

— კარგი კანდიდატურაა,—აღიარა მაშინ ქარხნის მთავარმა ენერგეტიკოსმა ა. ფედინიანმა, როცა ამის შესახებ აცნობეს,—ბევრი კარგი რამ მესმის ციცინოს შესახებ, დარწმუნებული ვარ, საამქროს ენერგორესურსების საქმეს უნარიანად გაუძღვება.

გავიდა წლები. კარგი მუშაობით ციცინომ მრავალი სიგელი და მადლობა დაიმსახურა. მისმა საამქრომ კი შვიდწლედის პირველი წლის გეგმა ვადაზე ადრე შეასრულა.

ახლა ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში ყველამ იცის, რომ ქალიშვილს სიცილიც უყვარს და შრომაც.

ასეთი ხასიათი აქვს ციცინო ჩერქეზიას.

**ა. გელენიძე,**

**უ. ხოხიაშვილი**

## საბჭოს თავმჯდომარე

ლენტეხის რაიონში არის ქახუნდერის სასოფლო საბჭო. იგი ორ სოფელს—ქახუნდერსა და ლემზაგორს აერთიანებს.

1934 წლიდან აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობს ვერა გუჯეჯიანი. ბევრი შრომა დასჭირდა ვერას, სანამ სოფელს სახეს შეუცვლიდა. უმეცრების, უგზოობის და სიღატაკის მაგიერ სოფელში დღეს არის საექიმო პუნქტი, აფთიაქი, საავადმყოფო, გაყვანილია ახალი გზები, სოფელი განათებულია ილიჩის ნათურებით, აგებულია სასოფლო საბჭოსა და კოლმეურნეობის გამგეობის ახალი შენობები, აქვთ სამკითხველო, ბიბლიოთეკა, კლუბი.

ვერა გუჯეჯიანმა თავდადებული, უანგარო შრომით ხალხის სიყვარული და ნდობა დაიმსახურა.

**გ. მუკბანიანი**

დიასახლისის დასახმარებლად

# ეს იცოდეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რა უნდა იცოდეს დიასახლისმა

თუ შემთხვევით იატაკზე თბილი ქონი დაგეღვარათ, იმ ადგილს უცბად დაასხით ცივი წყალი. ქონი გაიყინება და ადვილად აიფხიკება დანით.

ღილი დიდხანს არ აწყდება, თუ მას გასანთლული ძაფით დააკერებთ.

ბავშვებს ახალ ფეხსაცმელში ფეხი უცურდებათ და ეცემიან. თქვენც აიღეთ და ფეხსაცმლის ლანჩები დანის სახეხი ქაღალდით ან ქვიშით გახეხეთ.

რკინის კოლოფში უსიამოვნო სუნი სწრაფად გაქრება. თუ კოლოფში რამდენიმე ასანთს დასწვავთ.

თუ დაჟანგულ ქურას ცხელი საჭმლის ზეთით გაწმენდთ, ის ისევ დაიწყებს კრიალს.

საპნით გარეცხილ მუშამბას (კლიონკა) პეწი ეკარგება. ამიტომ, ჯობს ის რძით გაწმინდოთ.

თუ გსურთ ძველი წინდის, შალის და სხვა ნარღვევი ძაფი რბილი და ფაფუკი იყოს, ასე მოიქეცით: დაახვიეთ გორგლად და ერთი ღამით ჩადეთ ცივი წყლით სავსე ქვაბში.

დილით ქვაბი ცეცხლზე დადგით და წყალი ადუღებამდე მიიყვანეთ, შემდეგ სწრაფად გადმოიღეთ ცეცხლიდან. წყალი რომ გაგრილდება, გორგალი ამოიღეთ, გაწურეთ და გააშრეთ ორპირ ქარზე. როდესაც გორგალი გარედან გაშრება, გადაახვიეთ, რომ მშრალი ძაფი ახლა შიგნით მოყვეს, სველი კი გარედან. ასე გორგალი ძალიან მალე გაშრება.

ნუ გადაყრით ლიმონის ქერქს: ის შესანიშნავად წმენდს სამზარეულოს ხის მაგიდებს და ბოსტნეულის დასაჭრელ ფიცრებს. ამავე დროს ლიმონის ქერქი თევზის სუნს აცილებს დანებს.

თუ ახალ საყვავილე ქოთნებს წინასწარ რამდენიმე საათით წყალში ჩაალაგებთ, მაშინ ახალი მიწა ისე ბევრ წყალს აღარ შეისრუტავს.

ხშირად ფეხსაცმლის ჯაგრისები გვეკარგება იმიტომ, რომ მათ მუდმივი ადგილი არა აქვთ. თავი რომ არ გაიწვალოთ, გირჩევთ: აიღეთ სქელი ნაჭერი (ბრეზენტი ან სქელი ფანელი), დააკერეთ ზედ რამდენიმე ჯიბე—ჯაგრისების ზომისა, გაუკეთეთ საკიდი და კედელზე ჩამოკიდეთ.

ახლა დაიმახსოვრეთ ჩაის ნაყენის დამზადების ახალი რეცეპტი:

კარგად გამორეცხილ, გამშრალებულ და გამთბარ ჩაიდანში ჩაყარეთ ჩაი და დაასხით აუდუღარი წყალი ისე, რომ ფაფის სისქე ჰქონდეს, ეს პატარა ჩაიდანი დადგით მდუღარე წყლით სავსე დიდ ჩაიდანზე. 5 წუთის შემდეგ ჩაუმატეთ შიგ მდუღარე (ასე, ნახევრამდე) და კვლავ დადგით დიდ ჩაიდანზე, ისევ 5 წუთით. ამის შემდეგ გაავსეთ მდუღარე წყლით პატარა ჩაიდანი და კიდევ 5 წუთით დაადგით დიდ ჩაიდანზე.

ასეთნაირად მომზადებული ჩაი ძალიან არომატულია, რადგან ჩაის ფოთლები ცივ წყალში იშლება და მთლიანად გამოყოფს, რაც კარგი გააჩნია.

გაყინული ხორცი წყალში კი არ უნდა გაჰლხოთ, ჯობს თავდახურულ ჭურჭელში მოათავსოთ 2-3 საათის განმავლობაში. ასე ის არ დაკარგავს თავის კარგ თვისებებს.

თუ დანა-ჩანგალი დაიჟანგა, გაწმინდეთ მცენარეულ ზეთში დასველებული ბოთლის საცობით.

ძალზე დაჟანგული რკინის ნივთები ადვილად იწმინდება მცენარეულ ან მანქანის ზეთში აზელილი ნაცრით. შემდეგ სუფთა წყალში გაირეცხება და გამშრალდება.

სიშავეს ლითონის საგნებს მოაშორებთ ჩვეულებრივი სასკოლო საშლელით.

ჭუჭყიანი ბოთლები ადვილად ირეცხება თბილ წყალში გარეული გახეხილი კარტოფილით. ნავთიან ბოთლებს კი თბილ წყალში გახსნილი მდოგვი გაწმენდს.

ჭურჭელს ხახვის სუნი ადვილად გაუქრება, თუ მას გავრეცხავთ თბილ წყალში შერეული ძმრით.

ჭურჭელს მძაფრ, მყრალ სუნს ადვილად მოვაშორებთ, თუ მას გავხეხავთ დანაყილი ხის ნახშირით.

როგორ გავწმინდოთ ბეწვეული გვეკითხებიან დ. ჭაავა (ფოთი) და ნ. ახალშენიშვილი (თბილისი).

თეთრი ბეწვეული უნდა გაიწმინდოს თეთრი სიმინდის ფქვილის გამონაცრით ან კარტოფილის ფქვილით. ფქვილმოყრილი ბეწვეული უნდა სრისოთ 15-20 წუთის განმავლობაში, შემდეგ კი კარგად გაბერტყოთ.

შავი და სხვა მუქი ფერის ბეწვეული უნდა გაატაროთ ორთქლში, შემდეგ დავარცხნოთ მსხვილკბილა სავარცხლით. ამის შემდეგ ბეწვი გაახლდება.

ცხიმოვანი ე. ი. გაქონილი ადგილები ბეწვეულზე მოწმინდეთ ბენზინში დასველებული ტილოს ნაჭრით. ბენზინში ჯობს გაურიოთ ფხვნილი — «ნოვოსტით» აქაფებული თბილი წყალი.

ძლიერ დასვრილი ბეწვეულის საწმენდად კარგია იხმაროთ ბენზინისა და კარტოფილის ფქვილის ნარევი (ფაფის სისქისა), რომლითაც ასრისავთ ბეწვს. გაშრობის შემდეგ კარგად გაფერთხავთ ბეწვს, ორთქლზე გააჩერებთ 5 წუთს და დავარცხნით მსხვილკბილა სავარცხლით.

დიდი ზომის ბეწვეული ქურქები ნაწილ-ნაწილ უნდა გაწმინდოთ ასე: მოაყარეთ ბენზინში ალესილი სუფთად გაცრილი ხის ნახერხი, სრისეთ 10 წუთის განმავლობაში. ჭუჭყიანი ნახერხი გადაყარეთ და მოაყარეთ ახალი ნახერხი, ისევ ბენზინში დასველებული.

გარეკანის პირველ გვერდზე—თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ბალეტის სოლისტი ლ. მითაიშვილი. ფოტო გ. ოვანესიანის.
გარეკანის მეოთხე გვერდზე ბაკურიანი, კოხტაგორა. ფოტო თ. არჩვაძის

რედაქტორი თ. აბაშმაძე.
სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბალდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.
მხატვრული რედაქტორი ლ. შენგელია.
რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/XII-60 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75, პირობით ფორმათა რაოდ. 5,3.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.
ტირაჟი 45.000. ფასი 3 მან.
ფასი 1961 წლის 1-ლი იანვრიდან 30 კაპ.
შეკვეთის № 2006 უე 05667

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сабчота Кали".
Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭრა-კერვის დაუსწრებელი სწავლება



## გაკვეთილი მეექვსე

### გოგონას კაბა ნაკეცებით

(7-12 წლამდე)

თ ა რ გ ი ს  შ ე დ გ ე ნ ა  (ნახაზი №13)

გოგონას ნაკეცებიანი კაბის თარგის შესადგენად საჭიროა ავიღოთ შემდეგი ზომები:

1. გულ-მკერდის წრეხაზი — 60 სანტიმეტრი
2. კისრის წრეხაზი — 27 სანტიმეტრი
3. ბეჭების სიგანე — 22 სანტიმეტრი
4. მხრის სიგანე — 9 სანტიმეტრი
5. გულ-მკერდის სიგანე — 24 სანტიმეტრი
6. წელის სიგრძე — 26 სანტიმეტრი
7. კაბის სიგრძე — 45 სანტიმეტრი

კაბის უკანა ნახევრის თარგის შესადგენად ბეჭების სიგანეს მუდმივად ვყოფთ ორზე:

$$22 : 2 = 11$$

მიღებულ რიცხვს 11-ს გადავზომავთ ა-წერტილიდან მარჯვნივ ა-წერტილიდან ჩამოვზომავთ კაბის მთლიან სიგრძეს — 45 სანტიმეტრს

წელის სიგრძეს მუდმივად ვყოფთ 2-ზე:

$$26 : 2 = 13$$

მიღებულ რიცხვს-13-ს ჩამოვზომავთ ა-წერტილიდან და ვავლებთ იღლიის დასადგენ ხაზს.

კისრის წრეხაზს მუდმივად ვყოფთ 6-ზე

$$27 : 6 = 4,5$$

მიღებულ 4,5-ს გადავზომავთ ა-წერტილიდან მარჯვნივ. წერტილ 4,5-დან ზევით ავზომავთ 1 სანტიმეტრს. 1-წერტილს ვაერთებთ წერტილ ა-თან მრუდი ხაზით.

იღლიის ხაზის დასადგენად ზედა 11-წერტილიდან ჩამოვზომავთ 3 სანტიმეტრს. ქვედა 11-წერტილიდან ზევით და მარჯვნივ გადავზომავთ 3-3 სანტიმეტრს. აღნიშნულ წერტილებს ვაერთებთ მრუდი ხაზით. ნაკეცის დასაწყისის დასადგენად წერტილ-45 და 13-დან მარჯვნივ გადავზომავთ 4 სანტიმეტრს. წერტილებს შევაერთებთ სახაზავით. ნაკეცებისათვის წერტილ-14 და წერტილ 3-დან გადავზომავთ 12 სანტიმეტრს. წერტილებს შევაერთებთ სახაზავით. ზედა 12-წერტილიდან ავზომავთ 6 სანტიმეტრს და ვაერთებთ სახაზავით წერტილ 4-თან. წერტილ 6-დან ქვევით ჩამოვზომავთ 3 სანტიმეტრს მარცხნივ, გადავზომავთ 2 სანტიმეტრს. წერტილებს ვაერთებთ მრუდი ხაზით. თითო ნაკეცის სიღრმე იქნება 6 სანტიმეტრი. დაშორება ნაკეცებს შორის უნდა იყოს 3-3 სანტიმეტრი.

კაბის წინა ნახევრის თარგის შესადგენად გულ-მკერდის სიგანეს მუდმივად ვყოფთ 2-ზე:

$$24 : 2 = 12$$

მიღებულ რიცხვს 12-ს გადავზომავთ ა-წერტილიდან მარცხნივ. ა-წერტილიდან ჩამოვზომავთ ზურგის სიგრძის ნახევარს 13-სანტიმეტრს და კაბის სიგრძეს 45 სანტიმეტრს. საყელოსათვის წერტილ ა-დან ჩამოვზომავთ 4,5 სანტიმეტრს, მარჯვნივ გადავზომავთ 4,5 სანტიმეტრს, ზევით ავზომავთ 1,5 სანტიმეტრს. წერტილ 1,5-ს ვაერთებთ წერტილ ა-თან მრუდი ხაზით.

გულ-მკერდის წრეხაზს ვყოფთ მუდმივად ორზე, ვუმატებთ 3 სანტიმეტრს: ვაკლებთ კაბის უკანა მხარის ზომას:

$$60 : 2 = 30$$
$$30 + 3 = 33$$
$$33 - 14 = 19$$

მიღებულ 19-ს გადავზომავთ წერტილ 13-დან მარცხნივ. წერტილ 2-დან იღლიისა და მხრის ხაზის დასადგენად ჩამოვზომავთ 2,5 სანტიმეტრს. ქვედა 12-დან ზევით და მარცხნივ გადავზომავთ 3-3 სანტიმეტრს და მათ ვაერთებთ მრუდი ხაზით.

ნაკეცებისათვის 45 და 13 წერტილებიდან მარცხნივ გადავზომავთ 12 სანტიმეტრს და ვაერთებთ სახაზავით.

ზედა წერტილ 12-დან ზევით ავზომავთ 6 სანტიმეტრს და ვაერთებთ წერტილ 4-თან სახაზავით. წერტილ 6-დან მარჯვნივ გადავზომავთ 2 სანტიმეტრს, ზევით კი-3 სანტიმეტრს, 3 და 3-წერტილებს ვაერთებთ მრუდი ხაზით.

წერტილ 12-დან კაბის გვერდის ხაზს ვწევთ მაღლა 2 სანტიმეტრით (სისწორის დაცვისათვის)

### მოკლე სახელო („ფონარჩიკი")

ს ა ხ ე ლ ო ს  თ ა რ გ ი ს  შ ე დ გ ე ნ ა

სახელოს თარგის შესადგენად საჭიროა ავიღოთ შემდეგი ზომები:

1. იღლიის წრეხაზი — 32 სანტიმეტრი
2. სახელოს სიგრძე — 16 სანტიმეტრი

წერტილ ა-დან მარჯვნივ გადავზომავთ იღლიის წრეხაზის ანაზომს-32 სანტიმეტრს. ა-წერტილიდან ჩამოვზომავთ სახელოს სიგრძეს-16 სანტიმეტრს და ვადგენთ ოთხკუთხედს.

იღლიის წრეხაზს მუდმივად ვყოფთ 2-ზე:

32:2=16

მიღებულ 16-ს გადავზომავთ წერტილ-ა და წერტილ-16-დან და შევაერთებთ სახაზავით. აღვნიშნავთ შუა წერტილს. ქვედა 16-დან ქვევით ჩამოვზომავთ 3 სანტიმეტრს. სიგრძის ბოლო წერტილებიდან ე. ი. 16-დან მარჯვნივ და მარცხნივ გადავზომავთ 2,5 სანტიმეტრებს და ვაერთებთ წერტილ 3-თან მრუდი ხა[illegible]ით. 16-ს გავყოფთ 2-ზე.

16 : 2=8

მიღებულ 8-ს ჩამოვზომავთ ა-და 32-ის წერტილიდან და 8 წერტილებს ვაერთებთ შუა წერტილთან ე. ი. 16-თან მრუდი ხაზით.

ციფრები 2, 3, 6, 12, 1, 1, 5; 2,5 მუდმივი ციფრებია და იხმარება კაბის სხვა ზომის შედგენის დროსაც.

## გოგონას ნაკეცებიანი კაბის გამოჭრისა და შეკერვის წესი

გოგონას ნაკეცებიანი კაბის გამოსაჭრელად ქსოვილს ვკეცავთ ორად ვამაგრებთ თარგს ქინძისთავებით. ვუმატებთ ნაკეცებისათვის გვერდებში თითო სანტიმეტრს, ბოლოში შესაკეცად-4 სანტიმეტრს. კაბის უკანა ნახევრის სიგრძის ხაზი წერტილ ა-დან წერტილ 45-მდე გაუჭრელია დანარჩენი იჭრება. წერტილ 2-დან წერტილ 4-დე გვერდი ჩაიჭრება ნაკეცებისათვის წანამატი 12 სანტიმეტრით განისაზღვრება. აქედან გაკეთდება თითო გვერდზე 2-2 ნაკეცი. ნაკეცის სიღრმე უნდა უდრიდეს 6 სანტიმეტრს. ნაკეცებს შორის დაშორება-3 სანტიმეტრს. 12 სანტიმეტრი იმ ვარაუდით უნდა დაიკეცოს, რომ 2 და 3 წერტილები, რომელთაც 6-დან ვზომავთ, აგრძელებდეს იღლიის ხაზს.

ასეთივე წესით იკეცება ქსოვილი წინა ნახევრისათვის. სიგრძის ხაზი წერტილ 4,5-დან წერტილ 45-მდე გაუჭრელია, დანარჩენი იჭრება. წინა და უკანა ნახევრის ნაკეცების გამზადების შემდეგ ნაკეცების ხაცვლად შეგვიძლია ნაოჭებიც გავაკეთოთ. უნდა გავაუთოოთ და შევაერთოთ კაბის წინა და უკანა ნაწილი.

სახელოსთვის საჭირო ქსოვილი სურვილისამებრ ორად შეიძლება მოვკეცოთ ან ცალ-ცალკე გამოვჭრათ. ცალკე გამოჭრა უმჯობესია: ასე უფრო დავიცავთ სახელოს მხარეთა თანაბრობას. სახელოს ბოლოში ეყრება რეზინი.









## ბავშვის წინსაფარი კოკეტით

(საბავშვო ბაღის ასაკისათვის)

## გაკვეთილი მეშვიდე

თარგის შედგენა (ნახ. № 16)

ბავშვის წინსაფრის თარგის შესადგენად უნდა ავიღოთ შემდეგი პირობითი ზომები:

1. გულ-მკერდის წრეხაზი—68 სმ
2. კისრის წრეხაზი—30 სმ
3. ბეჭების სიგანე—28 სმ
4. გულ-მკერდის სიგანე—26 სმ
5. წელის სიგრძე—29 სმ
6 წინსაფრის სიგრძე—55 სმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვხაზავთ წინსაფრის წინა და უკანა ნაწილს ცალ-ცალკე.

წინსაფრის უკანა ნაწილის თარგის შესადგენად ბეჭების სიგანეს ვყოფთ ორზე:

28 : 2=14

მიღებულ 14-ს გადავზომავთ ა-წერტილიდან მარჯვნივ. წერტილ ა-დან ქვევით ჩამოვზომავთ წინსაფრის მთლიან სიგრძეს—55 სანტიმეტრს.

წელის სიგრძეს ვყოფთ ორზე:

29 : 2=14,5

მიღებულ 14,5-ს ჩამოვზომავთ წერტილ ა-დან და გავავლებთ იღლიის დასადგენ ხაზს. კისრის წრეხაზს ვყოფთ ექვსზე:

30 : 6=5

მიღებულ 5-ს გადავზომავთ წერტილ ა-დან მარჯვნივ. წერტილ 5-დან ზევით ავზომავთ 1 სანტიმეტრს და ვუერთებთ წერტილ ა-ს მრუდი ხაზით.

მხრისა და იღლიის ხაზის გამოსაყვანად წერტილ 14-დან ქვევით ჩამოვზომავთ 8-სანტიმეტრს. ასევე 3 სანტიმეტრს ავზომავთ ზევით და გადავზომავთ მარჯვნივ. ამ 3-წერტილებს ვაერთებთ მრუდი ხაზით გვერდზე სისრულისათვის წერტილ 17-დან მარჯვნივ გადავზომავთ 4 სანტიმეტრს, წერტილ 4-დან ზევით ავზომავთ 1 სანტიმეტრს. 1-წერტილებს ვაერთებთ სახაზავით 3-წერტილთან. უკან გადასაკეცად ა-წერტილიდან და წერტილ 55-დან მარცხნივ გადავზომავთ 3-სანტიმეტრს 3-წერტილებს ვაერთებთ ერთმანეთთან სახაზავით.

კოკეტისათვის ქვედა 3-წერტილიდან ზევით ავზომავთ 1 სანტიმეტრს, 14,5 წერტილიდან—4 სანტიმეტრს. წერტილებს 4-ს და 1—ს ვაერთებთ სახაზავით. ნაოჭისათვის 4-წერტილიდან და ქვედა 3-წერტილიდან მარცხნივ გადავზომავთ 8 სანტიმეტრს. 8-წერტილებს ვაერთებთ ერთმანეთთან სახაზავით.

წინსაფრის წინა ნაწილის თარგის შესადგენად გულ-მკერდის სიგანეს ვყოფთ ორზე:

26 : 2=13.

მიღებულ 13-ს გადავზომავთ ა-წერტილიდან მარჯვნივ. ა-წერტილიდან ჩამოვზომავთ წინსაფრის სიგრძეს—55 სანტიმეტრს.

წერტილ ა-დან ჩამოვზომავთ წელის სიგრძეს—29 სანტიმეტრს და წელის სიგრძის ნახევარს 14,5-ს.

გულ-მკერდის წრეხაზს ვყოფთ ორზე, ვუმატებთ 3 სანტიმეტრს, ვაკლებთ წინსაფრის უკანა მხარის ზომას—17 სანტიმეტრს:

68 : 2=34
34+3—37
37—17=20

მიღებულ რიცხვს—20-ს გადავზომავთ 14,5-წერტილიდან მარჯვნივ მთელ სიგრძეზე.

საყელოს ამოსაჭრელად წერტილ ა-დან ჩამოვზომავთ ქვევით 5 სანტიმეტრს და მარჯვნივ ასევე გადავზომავთ 5 სანტიმეტრს. 5-დან ზევით ავზომავთ 2 სანტიმეტრს. 2-წერტილს ვაერთებთ წერტილ 5-თან მრუდი ხაზით. სისრულისათვის ქვედა 20-წერტილიდან მარჯვნივ გადავზომავთ 4 სანტიმეტრს. შემდეგ 4-დან ზევით ავზომავთ 1 სანტიმეტრს. 1-წერტილს ვაერთებთ წერტილ 20-თან სახაზავით.

კოკეტის გამოსაყვანად ქვედა 3-წერტილიდან ზევით ავზომავთ 1 სანტიმეტრს. წერტილ 14,5-დან კი—4 სანტიმეტრს. წერტილებს 4-ს და 1-ს ვაერთებთ სახაზავით. ნაოჭისათვის წერტილ 4-დან და წერტილ 55-დან მარცხნივ გადავზომავთ 8 სანტიმეტრს. 8-წერტილებს ვაერთებთ სახაზავით. ჯიბისათვის წელის ხაზიდან დაბლა ჩამოვზომავთ 3 სანტიმეტრს. 3 წერტილიდან მარჯვნივ გადავზომავთ 6 სანტიმეტრს, მარცხნივ—4-სანტიმეტრს; წერტილ 4-დან ქვევით ჩამოვზომავთ 10 სანტიმეტრს. წერტილებს 4, 6 და 10 ვაერთებთ ერთმანეთთან სახაზავით.

სახელოს თარგის შესადგენად ა-წერტილიდან გადავზომავთ იღლიის წრეხაზის ზომას—30 სანტიმეტრს. ა-წერტილიდან კი ქვევით ჩამოვზომავთ სახელოს სიგრძეს-40 სანტიმეტრს. იღლიის წრეხაზს ვყოფთ 2-ზე:

30 : 2=15



მიღებულ რიცხვს 15-ს გადავზომავთ წერტილ—ა და წერტილ-40-დან მარჯვნივ და შევაერთებთ სწორი ხაზით.

15-ს გავყოფთ ორზე, ვუმატებთ 2 სანტიმეტრს:

15 : 2=7,5
7,5+2=9,5

მიღებულ რიცხვს 9,5-ს ჩამოვზომავთ ქვევით წერტილ—ა და წერტილ 30-დან და შევაერთებთ სწორი ხაზით.

15-ს გავყოფთ ორზე:

15 : 2=7,5

მიღებულ რიცხვს 7,5-ს გადავზომავთ როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ 15-წერტილიდან და ჩამოვუშვებთ სწორ ხაზებს. მარჯვენა წერტილ 7,5-დან ჩამოვზომავთ 2 სანტიმეტრს, მარცხენა 7,5-დან კი ზევით ვზომავთ 2 სანტიმეტრს. წერტილებს 2,15 და 9,5 ვაერთებთ ერთმანეთთან მრუდი ხაზით. წერტილ 40-დან ზევით ავზომავთ 2 სანტიმეტრს, 2-წერტილებს ერთმანეთთან ვაერთებთ მრუდი ხაზით.

## წინსაფრის გამოჭრისა და შეკერვის წესი

წინსაფრის უკანა ნაწილის გამოსაჭრელად ქსოვილს სიგრძეზე ვკეცავთ ორად, ვამაგრებთ თარგს ქინძისთავებით, ვუმატებთ შესაკერად საყელოში 1 სანტიმეტრს, გვერდებში კი—2 სანტიმეტრს. ჯერ ცალკე ვჭრით კოკეტკას, შემდეგ—ქვედა ნაწილს. გაუჭრელი ხაზი უკანა მხარეს არა აქვს.

ასეთივე წესით იკეცება ქსოვილი და იჭრება წინსაფრის წინა ნაწილი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სიგრძის ხაზი 5-დან 4-მდე და ზედა 8-დან ქვედა 8-მდე გაუჭრელია.

სახელოსთვისაც ქსოვილი იკეცება ორად. სიგრძეზე გაუჭრელი ხაზი არა აქვს.

საყელოს ვუდებთ ირიბ ნაჭერს. ქვედა ნაწილს გავუკეთებთ ნაოჭს გავუკერავთ გვერდებს, დაბლა გადავკეცავთ 2 სანტიმეტრს და შემდეგ ზევით გადავაკერებთ გამზადებულ კოკეტს, მივაკარებთ სახელოს, სამაჯეს (მანჟეტს) და ჯიბეს.

ავტორი ტატიანა გურგენიძე
კონსულტანტი ვანო ტაბიძე









# პირველი თოვლი

ტექსტი შოთა ამირანიშვილის
მუსიკა დალი ჩხეიძის

თოვს თუ მხოლოდ სიზმარია,
ან ოცნება მონავარდე,
თოვლის მოსვლა მიხარია
და მინდა, რომ შენც თოვლს გავდე.
შენზე ფიქრი გამიტაცებს,
გავათიო ღამე თუნდაც.
შენს სახელზე გავაკეთებ
პირველ თოვლის პირველ გუნდას.
შენ დღეს უფრო ნაზი ჩანხარ,
როცა თოვლი ფიფქებს აფრქვევს.
დღეს ქუჩაში ვინც კი გნახა,
შენს თოვლისფერ ღიმილს აქებს.



ნ 38/12 5.10/4

